ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი–კვირა

17 — 18 სექტემბერი, 2011 №221 (5601) ფასი: 30 თეთრი

## 76 წლის მოხუცმა პარლამენტში კომპიუტერი დაამტვრია

გვ.2

გვ.12




TV პროგრამა

გვ.10

# მერიას ნაგვის გადასახადიდან 70 მილიონი დარჩება

გვ.3

## ოპოზიცია ნაგვის გაიაფების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას იწყებს



## ქეთი დოლიძე: „სანამ ცოცხალი ვარ, მამაჩემის სახლში ვერავინ შევა“

გვ.6

რატომართმევენ ბინას სიკო დოლიძის ქალიშვილს

## სკანდალი აბაშის დეპუტატის გარშემო



გვ.5

## კახა კუკავა: „ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე მალე დაბრუნდება“

რის სანაცვლოდ მიიღებს ქართულ პროდუქციას მოსკოვი?



გვ.4



გვ.4

## ლადო გურგენიძე: „საქართველოს ხელისუფლების კრახის შემთხვევაში აზერბაიჯანი რუსულ ორბიტაზე აღმოჩნდებოდა“



გვ.5

## მიხეილ სააკაშვილი: „გვინდა გვყავდეს ჯარი? — უნდა ვიყოთ ავღანეთში“

## აფხაზები „ენგურჰესის“ დათმობას არ აპირებენ

რაზე ურიგდებოდა ჩვენი ხელისუფლება რუსებს?



გვ.3

## 3090 sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

# როგორ დაიყოფიან ნაციონალები

**მომავალ პარლამენტში სკამის მოსაპოვებლად ყველა ის პოლიტიკოსი იბრძოლებს, რომელმაც დეპუტატობას ერთხელ მაინც გაუსინჯა გემო. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იმითაც იქნება გამორჩეული, რომ ის 190-წევრიანი იქნება და თანაც თბილისის ნაცვლად ქუთაისში იმუშავებს.**
**სანამ არჩევნების თარიღი დაინიშნება, საინტერესოა, როგორ გადაჯგუფდებიან ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პოლიტიკოსები და ვინ ვის ნავში აღმოჩნდება.**

ნანა მიშელაშვილი



არადა, ზოგიერთმა სამი წლის შემდეგაც ვერ გაიგო, თუ რისთვის მოვიდა პარლამენტში, რის გაკეთება სურდა ან რა არ უნდა გაეკეთებინა. ისევე, როგორც წინა პარლამენტებში, რადიატორთან მსხდომი დეპუტატების პოვნა ამ პარლამენტშიც მარტივია. ასეთების საქმიანობას მოსახლეობა რომ არ იცნობს, ერთია, მაგრამ, გასაოცარი ის არის, რომ მათ საკუთარი კოლეგების ნაწილიც არ იცნობს. ამის მიუხედავად, აქტიურებსაც და პასიურებსაც პოლიტიკაში დარჩენა სურთ, რადგან სკამს მაინც სულ სხვა ხიბლი აქვს.

საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის შემოდგომაზე ჩატარდება. კონკრეტულ თარიღს პრეზიდენტი სააკაშვილი დანიშნავს. არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, ამიტომ იქამდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს, თუმცა, არსებული რეალობა იმის თქმის საშუალებას მაინც იძლევა, როგორი იქნება მომავალი პოლიტიკური შემოდგომა.

ვინ ვისი გუნდია და ვინ ვისთან არის დაპირისპირებული? პარლამენტში ახლა გუნდების ლიდერები არ არიან წარმოდგენილი. ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებას „აკონტროლებენ". ჯერ მთავრობის წევრებს შორის დაპირისპირებას აშკარა სახე არა აქვს, ამიტომაც ეს გუნდები გამოკვეთილად არ ჩანს. მას შემდეგ, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაირკვევა, ვინ ვისთან ვერ თანხმდება, გამოიკვეთება, რომელი პოლიტიკოსი ვის გუნდშია.

მაჟორიტარების დიდ ნაწილს ამჟამად ვანო მერაბიშვილის კადრებად მოიხსენიებენ, თუმცა, არა ყველას. ამავე გუნდში მოიაზრება ერთი-ორი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეც.

მერაბიშვილის გუნდი პარლამენტშიც და მთავრობაშიც საკმაოდ ძლიერ და გავლენიან გუნდად ითვლება და ამიტომაც ბევრს უჭირავს ამ გუნდისკენ თვალი.

ცალკე გუნდია თავისუფლების ინსტიტუტი, რომელსაც ბოკერიას გუნდს ეძახიან. ამ გუნდში მოიაზრებიან დეპუტატები: აკაკი მინაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი. აქედან ერთი კომიტეტის თავმჯდომარეა, ორი კი — კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

არასამთავრობო სექტორიდან არის მოსული დავით დარჩიაშვილი, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს ხელმძღვანელობს. დარჩიაშვილიც ბოკერია-უგულავას გუნდში მოიაზრება.

ასევე უგულავას კადრად მოიაზრება კიდევ ერთი კომიტეტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი მელაძე.

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ძლიერია, ზურაბ ადეიშვილის გუნდია. ეს გუნდი ძირითადად პარლამენტში კანონშემოქმედებითი საქმიანობით არის დაკავებული. სწორედ ისინი არიან თითქმის ყველა ახალი კანონპროექტის ავტორები. პარლამენტში ყველაზე მუშა დეპუტატებად ადეიშვილის გუნდის წარმომადგენლები ითვლებიან.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს საკუთარი გუნდი არა ჰყავს. ვერც ერთ დეპუტატზე ვერ იტყვი, რომ ის ბაქრაძის გუნდშია, რადგან ასეთი გუნდი ბუნებაში არ არსებობს.

კარგია თუ ცუდი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარეს საკუთარი გუნდი არა ჰყავს? ამ კითხვაზე დადებითი პასუხიც არსებობს და უარყოფითიც. ამის მაგალითებად წინა პარლამენტების ყოფილი თავმჯდომარეები შეიძლება დასახელდნენ.

თავად ბაქრაძე ამ საკითხზე ზოგად განცხადებას აკეთებს და პარლამენტში საკუთარ დასაყრდენ ძალად მთელ უმრავლესობას მოიაზრებს, თანაც პარლამენტში საკუთარი გუნდის არყოლას მის „სიძლიერედ" აფასებს. ამის შესახებ ბაქრაძემ ჟურნალისტებთან ერთ-ერთი შეხვედრისას ისაუბრა. მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ მისი გუნდი არა დეპუტატთა ერთი სპეციფიკური ჯგუფი, არამედ მთელი უმრავლესობაა.

ამავე კონტექსტში ჟურნალისტები იმითაც დაინტერესდნენ, მოსალოდნელია თუ არა უმრავლესობის ფარგლებში ბაქრაძის სახელთან დაკავშირებული გუნდის წარმოქმნა.

— მე მყავს გუნდი და ეს გუნდი უმრავლესობაა. ეს პათეტიკა არ არის და, თუ ოდესმე გეტყვით ან დაინახავთ, რომ ჩემი გუნდი უფრო მცირეა, ვიდრე უმრავლესობა, ეს ჩემი სისუსტე იქნება. ვიღაცამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ასეთი სპეციფიკური გუნდის არარსებობა სისუსტეა, მაგრამ მე გეტყვით, რომ პირიქით. არასწორად მიმაჩნია ფორმულა, თითქოს სიძლიერეა, როცა დაპირისპირების შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარეს დეპუტატთა ჯგუფი ჰყავს, რომელიც აუცილებლად მას მისცემს ხმას. ჩემი აზრით, ეს სისუსტეა, სიძლიერე კი ის არის, რომ დაპირისპირება არ დაუშვა. აი, ეს არის გუნდი, — განაცხადა ბაქრაძემ.

უმრავლესობის არც ერთი წევრი არ საუბრობს იმაზე, რომ შიგნით რაიმე დაჯგუფებები ან გუნდები არსებობს. ცხადია, ამის თქმას ახლა ვერავინ გაბედავს.

მმართველი პარტიის ლიდერები უმრავლესობის დაშლას კატეგორიულად გამორიცხავენ და ამის მომლოდინეებს იმედების გაცრუებას ჰპირდებიან.

სამაგიეროდ, ოპოზიცია ელოდება, რომ ნაციონალებში განხეთქილება მოხდება და ეს საამკარაოზე არჩევნების წინ გამოვა.

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ არ აპირებს იმის თქმას, თუ რას გააკეთებს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ და რომელი თანამდებობის დაკავება სურს. ისიც ცხადია, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

ბუნებრივია, ოპოზიციას არც იმ განცხადების სჯერა, რომ სააკაშვილი არქიტექტურით არის გატაცებული და ვადის ამოწურვის შემდეგ არქიტექტურით დაკავდება.

იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობის სურვილი გაუჩნდა, მას ვადაზე ადრე გადადგომა მოუწევს, რადგან საპარლამენტო არჩევნები 2012 წელს არის დანიშნული, ხოლო საპრეზიდენტო — ერთი წლის შემდეგ. ეს სცენარი ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან, ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობაზე მეტად პრემიერის სავარძლის დაკავების სურვილი აქვს.

ახალი კონსტიტუციით, პრემიერს პარლამენტი ირჩევს, კონკრეტულად კი ის პოლიტიკური პარტია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობით შევა. სწორედ ეს უმრავლესობა დანიშნავს პრემიერსაც და მთავრობასაც. ახალი კონსტიტუციით, პრემიერი საკმაოდ ძლიერი ფიგურაა.

სიახლეა ისიც, რომ პარლამენტში გასული პოლიტიკური ძალების მიერ კოალიციის შექმნაც არის შესაძლებელი. თუმცა, ცხადია, ნაციონალებს ურჩევნიათ, მთავრობა თავად დააკომპლექტონ და არ დასჭირდეთ სხვასთან გარიგება. ამისთვის კი საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება აუცილებელი.

# 76 წლის მოხუცმა პარლამენტში კომპიუტერი დაამტვრია

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტის შესასვლელში გუშინ ინციდენტი მოხდა. პარლამენტის მისაღებში შუადღისას საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პარლამენტის შესასვლელში ერთი მოხუცი მივიდა, დებოში ატეხა. უფრო სწორად, სამართალდამცავები ამტკიცებენ, რომ პარლამენტის კანცელარიაში მოხუცმა ერთი კომპიუტერი დაამსხვია.

პარლამენტის მისაღებში შესვლა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. სწორედ აქ მდებარეობს პარლამენტის კანცელარია, სადაც მოქალაქეები თავიანთ განცხადებას აბარებენ.

ინციდენტის შემდეგ სამართალდამცავებს ჟურნალისტებისთვის დაზიანებული მონიტორი არ უჩვენებიათ. მათ დაზიანებული მონიტორის ნახვასა და გადაღებაზე ჟურნალისტებს უარი უთხრეს.

პოლიციამ მცირე პერიმეტრი შუადღისას გადაკეტა. პარლამენტის შესასვლელში, სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისში მომხდარი ინციდენტი გამეორდა.

პარლამენტის კანცელარიაში მომუშავე სამართალდამცველები ამტკიცებენ, რომ გუშინ 4 ივლისს მომხდარი ინიციდენტი გამეორდა.

კერძოდ, მაშინ 70 წელს გადაცილებულმა მოქალაქე მარტიაშვილმა კანცელარიაში კომპიუტერი ჩაქუჩით დააზიანა. თავად მარტიაშვილი მაშინ ამბობდა, რომ 5 წლის წინ „ტვ-ლოტოში" 57 ათას 500 ლარი მოიგო, თუმცა, თანხა არ მისცეს და დღემდე ამ თანხას ითხოვს.

ივლისში მომხდარი ინციდენტის დროს ჟურნალისტებს დაზიანებული მონიტორი აჩვენეს, თუმცა იგივე არ მომხდარა გუშინ.

მარტიაშვილი ივლისში საპატრულო პოლიციამ განყოფილებაში გადაიყვანა. როგორც ჩანს, შემდეგ ის პოლიციამ გაუშვა. გუშინ ადგილზე მომუშავე სამართალდამცველები ამბობენ, რომ მოხუცი ისევ განყოფილებაშია გადაყვანილი.

რაც შეეხება დანაშაულის იარაღს, სამართალდამცველები ამბობენ, რომ მოხუცმა „რაღაც გადახვეული შემოიტანა პარლამენტის კანცელარიაში" და იმით დააზარალა კომპიუტერი.

# სასამართლო სხდომის დარბაზში კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტებს ამკვიდრებს

2011 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის ზოგადი პრინციპების დამდგენი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ანგარიში მოისმინა.



შეხვედრას ესწრებოდნენ: გაეროს კოორდინატორი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ჯეიმ მაკგოლდრიკი.

დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სასამართლო პროცესზე მხარეებთან და დარბაზთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებელ რეკომენდაციებს, მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში.

დოკუმენტის მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მოსამართლეები, სამართლისა და კომუნიკაციის ექსპერტები, ფსიქოლოგი.

კვალიფიციური ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებულ რეკომენდაციებში აღწერილია მოსამართლის დარბაზთან ურთიერთობის ძირითადი საკითხები.

რეკომენდაციები კომუნიკაციის თანამედროვე სტანდარტებზეა აგებული და მისი რეალობაში ამოქმედება მოსამართლის იმიჯზე დადებითად აისახება.

კომუნიკაციის სტანდარტების ამოქმედება მოქალაქეების განწყობასაც შეცვლის სასამართლოს მიმართ, რადგან, აღნიშნული რეკომენდაციები მოსამართლეებს ავალდებულებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ დარბაზთან და იყვნენ უფრო მეტად კეთილგანწყობილები მხარეებისა და დარბაზში მყოფი პირების მიმართ.

# ჭაჭამ ბრენდის ხარისხი მიიღო

საქპატენტმა ეროვნული ბრენდის ხარისხი ათზე მეტ პროდუქტს მიანიჭა, მათ შორის ყურძნის არაყს (ჭაჭას), ჩურჩხელას, სულგუნს, ხაჭაპურს და მაწონს.

„საქპატენტის" ხელმძღვანლის ირაკლი ღვალაძის განცხადებით, დაპატენტებული პროდუქციის ღირებულება უფრო მეტია ვიდრე დაუპატენტებელი პროდუქციის, რაც კონკრეტულ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე საქართველომ დააპატენტა გაცილებით მეტი ეროვნული ბრენდი, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34**
**ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru**
**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# მერიას ნაგვის გადასახადიდან 70 მილიონი დარჩება

თეა მარხვაი ე

**ივნისში მერიამ და საკრებულომ თბილისელებს დაუვიწყარი საჩუქარი გაუკეთეს, რომლის წყალობითაც თბილისელები ახლა ორჯერ და სამჯერ მეტ თანხას იხდიან ნაგავში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ნაგვის გადასახადი მოხმარებული ელექტროენერგიის მიხედვით გამოიანგარიშება.**




დიდი მცდელობის მიუხედავად, ოპოზიციამ ვერაფრით დაადგინა, თუ რომელი ჩინოვნიკის ტვინში იშვა ასეთი ბრწყინვალე იდეა. გამოძიება ამ მიმართულებით ისევ გრძელდება. სანამ იდეების გენერატორს იპოვიდნენ, ოპოზიციამ ის დაადგინა თუ რამდენი დარჩება მოგება მერიას ნაგვის გადასახადისგან. ეს საკმაოდ სოლიდური ციფრი გახლავთ. თბილისის მერია ნაგვით 70 მილიონ მოგებას ნახავს.

ეს ხელისუფლებას, ბუნებრივია, აწყობს. ამიტომაც ნაციონალები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ამ მხრივ არაფერი შეიცვალოს. სხვა თუ არაფერია, წინ არჩევნებია და ფული სჭირდებათ. ასე რომ, გამორიცხული არაა, თუ მალე გაზის გადასახადსაც რამეს მიაბამენ.

მოსახლეობის ჯიბეებზე გაზრდილი ნაგვის გადასახადი უკვე აისახა. აბსოლუტური უმრავლესობა ჩივის, რომ ნაგვის გადასახადი რამდენჯერმე გაეზარდათ. ხელისუფლების წარმომადგენლები კი დღემდე უტიფრად ამტკიცებენ, რომ ნაგავი მოსახლეობას გაუიაფდა.

ნაგვის გადასახადი აწი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგანაც, როგორც წესი, შემოდგომასა და ზამთარში უფრო მეტი დენი იწვება. სხვა თუ არაფერი, ადრე ღამდება და ადამიანები ბნელში ვერ დასხდებიან. ათეულობით ათასი ოჯახი კი დღემდე დენით თბება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზამთარში ნაგავი უფრო ძვირი იქნება. რაც მოსახლეობას კიდევ უფრო გაურთულებს ცხოვრებას.

დიდი ნერვიულობის შემდეგ ოპოზიციამ გადაწყვიტა, ხელმოწერების შეგროვება დაიწყოს, რათა ხელისუფლება აიძულოს ნაგვის გადასახალი ძველ ნიშნულში დააბრუნოს.

ხელმოწერების შეგროვების ინიციატივით საკრებულოს დეპუტატი კახა კუკავა გამოვიდა. ხელმოწერების შეგროვებას პარტია „თავისუფალი საქართველო“ იღებს თავის თავზე.

— დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ახალი წესის შემოღების შემდეგ მოსახლეობას ნაგვის ორჯერ და სამჯერ გაზრდილი გადასახადის გადახდა უწევს, რაც ისედაც გაჭირვებულ ხალხს მძიმე ტვირთად აწვება კისერზე. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის წესი შეიცვალა და სულადობრივის ნაცვლად, მოსახლეობა გადასახადს მოხმარებული ელექტროენერგიის პროპორციულად იხდის, — განაცხადა კახა კუკავამ.

მისი თქმით, უახლოეს მომავალში ისინი 30 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ. ამის შემდეგ მიმართავენ საკრებულოს და კანონში ცვლილების შეტანას ითხოვენ. კუკავას მიაჩნია, რომ ხელისუფლებამ გაჭირვებული ხალხის ხარჯზე ათეულობით მილიონი არ უნდა იშოვოს.

კახა კუკავას ინფორმაციით, მერიას დასუფთავების გადასახადიდან 70 მილიონი ლარის მოგება დარჩება.

როგორც თბილისის საკრებულოში საგანგებო ბრიფინგზე კუკავამ განაცხადა, კვტ.სთ-ების მიხედვით დასუფთავების გადასახადის დაწესებით, თბილისის მერია მოგებას ნახულობს.

მისი განცხადებით, თბილისის ელექტროენერგიის მოხმარება წელიწადში საშუალოდ 180 მილიონ კვტ.სთ-ს შეადგენს, რაც 100 მილიონ ლარზე მეტ დასუფთავების გადასახადის ამოღებას ნიშნავს.

2011 წლის თბილისის ბიუჯეტის მიხედვით კი, დასუფთავების ხარჯები 30 მილიონით არის განსაზღვრული. კუკავას განცხადებით, თბილისის მერიას 70 მილიონ ლარზე მეტი მოგება რჩება.

შემოსავალმა მართალია მოიმატა, მაგრამ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასი არ გაზრდიათ. მშობლიურ ოპოზიციას ეს ფაქტიც საეჭვოდ ეჩვენება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ხელისუფლება, ნაგვის გაძვირებით მოგებულ თანხებს საარჩევნოდ გამოიყენებს.

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ხელფასის სიმცირე თავისუფალი დემოკრატების სახელით საკრებულოს დეპუტატმა ზურა აბაშიძემ გააპროტესტა. სხვა ოპოზიციონერების მსგავსაც, მანაც დაიანგარიშა თუ რამხელა მოგებას მიიღებს ბიუჯეტი დენზე ნაგვის მიერთებით.

მისი მტკიცებთთ, ნაგავზე გადასახადი კი არ გაორმაგდა, არამედ გაათმაგდა. აბაშიძის თქმით, მდგომარეობა ზამთარში კიდევ უფრო დამძიმდება.

აბაშიძემ ყურადღება გაამახვილა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ხელფასებზეც.

— ამ ადამიანებს დღისით და ღამით მუშაობა მხოლოდ 300-ლარიანი ხელფასით უწევთ. მე დასუფთავების სამსახურისგან მოვითხოვ, რომ გაძვირებული გადასახადით გაეზარდოთ ხელფასები დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს, — განაცხადა აბაშიძემ.

აბაშიძემ ასევე გამოთქვა ეჭვი, რომ თბილისის მერია დასუფთავების სამსახურის აღნიშნულ სერვისს, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა, აქცევს მომგებიან ბიზნესად და მიღებულ თანხებს არჩევნების გაყალბებისთვის გამოიყენებს.

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა თბილისის მერიისგანაც მოითხოვა განმარტებები.

— მივმართავ თბილისის მერიას, საჯარო გახადოს ინფორმაცია, თუ რაში იხარჯება გაზრდილი გადასახადიდან ბიუჯეტში შესული თანხები, — ითხოვს აბაშიძე.

ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ ნაგვის საფასურის გაზრდით დიდი შემოსავალი არ მიუღიათ. თურმე ამიტომაც ვერ უზრდიან დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასებს.

— დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები შემოსავლების გაზრდის შემთხვევაში მოემატებათ, — განაცხადა „თბილსერვისის“ დირექტორმა თორნიკე შიოლაშვილმა.

შიოლაშვილის განცხადებით, ინფორმაცია, თითქოს დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიის ტარიფზე მიერთების შემდეგ დასუფთავების სამსახურს შემოსავალი გაეზარდა, სიმართლეს არ შეესაბამება. მისი თქმით, შემოსავალი მხოლოდ ოდნავ გაიზარდა.

— ვინაიდან ეს არის ახალი გადაწყვეტილება, შემოსავალში დიდი მატება არ არის, — აღნიშნა მან.

შიოლაშვილის მტკიცებით, დასუფთავების სამსახური დაინტერესებულია, რომ თანამშრომლებს მოემატოთ ხელფასები და იმ შემთხვევაში, თუკი იქნება საკმარისი შემოსავალი, თანამშრომლებს ხელფასები აუცილებლად გაეზრდებათ.

ის კატეგორიულად არ ეთანხმება აბაშიძის კიდევ ერთ განცხადებას. ოპოზიციონერი ამბობს, რომ თბილისის მერია დასუფთავების სერვისის მომგებიან ბიზნესად ქცევას და შემდეგ მის გაყიდვას გეგმავს.

— ეს ინფორმაცია პირველად მესმის. ამ ეტაპზე არანაირ გაყიდვაზე საუბარი არ არის, — განაცხადა თორნიკე შიოლაშვილმა.

ოპოზიციას ხელისუფლების არ სჯერა. და არც ამ საქმის მიტოვებას აპირებს შუა გზაზე. სჯერათ, რომ ხალხთან ერთად ხელისუფლებას უკან დაახევინებენ.

# აფხაზები „ენგურჰესის“ დათმობას არ აპირებენ

თეა მარხვაი ე

## რაზე ურიგდებოდა ჩვენი ხელისუფლება რუსებს?

**ხელისუფლება გამუდმებით იმას ჩაგვჩიჩინებს, რომ რუსეთი ცუდია და ამის გამო რესტორნებში რუსული სიმღერებიც კი აკრძალა. არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში სპეციალური მუხლი ამოქმედდეს, რომელიც რუსეთზე თბილად მოსაუბრეებს დასჯის. არადა ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩვენი ხელისუფლება რუსეთთან ძალიან მჭიდრო კავშირშია.**



საქართველოს სტრატეგიული ობიექტების დიდი ნაწილი სწორედ რუსების ხელშია. ამაზე ხელისუფლება არაფერს არ ამბობს. თითქოს ნორმალური იყოს, რომ ქვეყანა, რომელთანაც ომი გქონდა, შენი სტრატეგიული ობიექტების მფლობელი იყო.

სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებით ოპოზიციამ ძალიან ბევრჯერ ატეხა ხმაური. ოპოზიციონერები ახლაც ჩივიან იმაზე, რომ ხელისუფლება გადარჩენილი სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასაც აპირებს. ექსპერტებს სერიოზული ეჭვი აქვთ, რომ ეს ობიექტებიც რუსების ხელში აღმოჩნდება.

ხელისუფლებისგან არავის არაფერი უკვირს, მაგრამ მათ „ენგურჰესთან“ დაკავშირებით ისეთი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ მთელი ერი პირღია დატოვეს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს შეთანხმება თუ გარიგება რუსეთთან აგვისტოს ომის შემდეგ გაფორმდა.

ოპოზიცია და მედია მაშინ ამაოდ ითხოვდა ხელისუფლებისგან გაფორმებული შეთანხმების განსაჯაროებას. ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო ოპოზიციამაც ბევრი იხმაურა, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ. ხელისუფლებამ არაფრის განმარტება არ მოისურვა.

უფრო მეტიც, ისინი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ „ენგურჰესის“ გასხვისებას ან რუსეთთან ერთობლივი მართვის შესაძლებლობას. ოპოზიციის ატეხილი განგაშის შემდეგ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ „ენგურჰესის“ აქციათა 100% ისევ საქართველოს ეკუთვნის.

რუსულ კომპანია „ინტერ რაოს“ კი მხოლოდ 10 წლის ვადით ერთობლივად გაკონტროლების უფლება გადაეცა.

ამ განმარტებამ ვერც ოპოზიცია და ვერც საზოგადოება ვერ დააშოშმინა. მართლა ძნელი ასახსნელი იყო, როგორ გააფორმა საქართველომ ასეთი შეთანხმება ქვეყანასთან, რომელთანაც ომი ჰქონდა.

ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ,

— ეკონომიკური ურთიერთობები სხვაა, პოლიტიკური — სხვა. ცნობილია, რომ ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთს ეომებიან, ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობენ, — განაცხადა ლაშა ჟვანიამ.

ექსპერტი მამუკა არეშიძე ამტკიცებს, რომ საქართველოს ენგურჰესის გასხვისებაში ხელი შეუშალეს.

— ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საქართველოს ამ სტრატეგიული ობიექტის გასხვისებაში ხელი აფხაზებმა შეუშალეს, — ამბობს მამუკა არეშიძე.

აფხაზებმა „ენგურჰესთან“ დაკავშირებით მტკიცე პოზიცია რომ დაიკავეს, ეს „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალებიდანაც ირკვევა.

სკანდალური პორტალის ინფორმაციით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „ჩერნომორენერგოს“ დირექტორმა რეზო ზანთარიამ ენგურჰესის აქციების 50%-იანი წილი მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ელექტროენერგიის შეწყვეტით იმუქრებოდა.

ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილ წერილში საუბრობს. წერილი 2008 წელს არის გაგზავნილი.

ტეფტი „ენგურჰესის“ კონტროლის საკითხზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებს დეტალურად აღწერს.

— ენერგეტიკის მინისტრმა ალეკო ხეთაგურმა, რომელიც უნარიანი და ფრთხილი ტექნოკრატია, რუსულ „ინტერ რაოსთან“ შეხვედრაზე გარიგებას „ავანტიურა“ უწოდა. მინისტრის განცხადებით, ამ ავანტურაზე წასვლა საქართველოს „ენგურჰესის“ სტაბილური მუშაობის გამო მოუწია. ხეთაგურმა განმიცხადა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ „ჩერნომორენერგოს“ დირექტორ რეზო ზანთარიას შეხვდა, რომელიც აფხაზური მხრიდან „ენგურჰესის“ მუშაობაზე იყო პასუხისმგებელი. ზანთარიამ ჰესის 50%-იანი წილი მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტით იმუქრებოდა. პარალელურად ქართველი მინისტრი რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და რუსული მხარისგან წინადადება მიიღო, რომელიც, ხეთაგურის აზრით, ქართული მხარისთვის ნაკლებრისკიანი იყო. „ინტერ რაო“ დათანხმდა იმას, რომ „ენგურჰესის“ 100% ქართულ მხარეს დარჩებოდა, ჰესის მართვის სისტემას კი აფხაზურის ნაცვლად, რუსული მხარე გააკონტროლებდა. რუსულმა მხარემ ასევე აიღო ვალდებულება, 15 წლის მანძილზე, ყოველწლიურად საქართველოსთვის აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური — 15 მლნ ლარი გადაეხადა, — ვკითხულობთ ტეფტის მიერ დაწერილ წერილში.

ტეფტი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს იმასაც განუმარტავს, რომ 1990-იანი წლების შემდეგ აფხაზები ელექტროენერგიას უფასოდ მოიხმარდნენ.

წერილში იმაზეც არის საუბარი თუ რა შეიძლება მოხდეს საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში. ამის შესახებ მას საუბარი ჩვენს ენერგეტიკის მინისტრთან ჰქონდა.

— ხეთაგური მიიჩნევს, რომ „ენგურჰესის“ მართვაში „ინტერ რაოს“ შესვლა საომარი მოქმედებების შემთხვევაში სამხედროების მიერ ჰესის დამბის დაკავების შანსს ამცირებს. მემორანდუმის მიხედვით, რუსულ კომპანიას უფლება ეძლეოდა, „ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% მოეხმარა, ასევე ესარგებლა ქართული გადამცემი ხაზით რუსეთიდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის განსახორციელებლად, — ნათქვამია ტეფტის წერილში.

აღსანიშნავია, რომ „ენგურჰესთან“ დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება ამ დრომდე არ გაფორმებულა.

„ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ მასალას აფხაზეთშიც მოჰყვა გამოხმაურება. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა „ჩერნომორენერგოს“ გენდირექტორმა რეზო ზანთარიამ. მან „აპსნიპრესთან“ საუბარში დაადასტურა, რომ ალეკო ხეთაგურთან მართლაც გამართა მოლაპარაკებები.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ენგურჰესის“ გასხვისებაზე თანახმა იყო აფხაზეთის მაშინდელი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში.

— ბაღაფშთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია გავრცელდა. ისიც და მეც ერთნაირ პოზიციაზე ვიყავით, მიგვაჩნდა, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმება ზიანს მოუტანდა აფხაზეთს, — განაცხადა ზანთარიამ.

ის პირობას დებს, რომ აფხაზური მხარე სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებით მომავალშიც ასეთ პოზიციას დაიკავებს. რაც შეეხება „ენგურჰესს“ ზანთარია ამბობს, რომ აფხაზეთი მის გასხვისებას არ დათანხმდება.

# სკანდალი აბაშის დეპუტატის გარშემო

შორენა კოწოწაშვილი

— დააკავეს ჩვენი კოლეგა ტარიელ მურვანიშვილი და ადეიშვილის უწყებამ, ამ მართლაც ბინძურმა ადამიანმა, დაგეგმა ახალი პროვოკაცია ადვოკატებთან მიმართებით. კერძოდ, ადვოკატი დააკავეს მოგებული პროცესისათვის და ქმნიან პრეცედენტს იმისა, რომ ადვოკატი თუ მიიღებს რაიმე სოლიდურ გასამრჯელოს, ის უნდა მისცეს ან სახელმწიფოს, ან ის ადვოკატი წავა ციხეში, — განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

პრესკონფერენციას ესწრებოდა დაკავებული ადვოკატის, ტარიელ მურვანიშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი ზაქარია ქუცნაშვილი. მისი თქმით, ადვოკატის პროფესია თავისუფალი პროფესიაა. ასე იწოდება ის კანონის ენაზე და ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პროფესიის მატარებელ ადამიანებს ჰქონდეთ ნორმალური მუშაობის უფლება.

**ზაქრო ქუცნაშვილი:**

— მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა ადვოკატს დევნიან გამარჯვებული საქმისთვის, თან არა მოწინააღმდეგე მხარე, არამედ თავისივე მარწმუნებელი, რომელმაც მიიღო 1,5 მლნ ლარი სარგებელი. ჩვენი ინფორმაციით, ამ საქმეში გარეული არიან უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთა კორუფციულ გარიგებებს უნდათ, რომ შესწირონ თავისუფალი პროფესიის მატარებელი ადამიანი. ადამიანი, რომელიც პატიოსნად იცავდა მარწმუნებლის ინტერესებს; მოუტანა მას საკმაოდ სასარგებლო გადაწყვეტილებების შედეგად. როგორც კი დაიწყო მოთხოვნა თავისი შრომის ანაზღაურების, მაშინვე უთხრეს, ციც, შენ ვერაფერს ვერ წაიღებ. მაქსიმუმ, მადლობა გადაგვიხადე, თუ თავისუფლებას მოგანიჭებთ. ეს გზავნილია ჩვენი პროფესიის ადამიანებისათვის, რომ თქვენ პატიოსნად შეასრულებთ პროფესიულ საქმიანობას, თუ წააგებთ პროცესს, ჩვენს ხელში ხართ. რასაც გვინდა, იმას ვათქმევინებთ თქვენს მარწმუნებელს.

ქუცნაშვილის თქმით, სახელშეკრულებო ურთიერთობებს აზრი ეკარგება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, იმიტომ რომ, თუ მხარე იტყვის, რომ კი, ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, მაგრამ ხელშეკრულების პირობები არ წამიკითხავსო, მაშინ საქართველოში ყველა შეიძლება დაგვიჭირონ, თან ამას ამბობს პიროვნება, რომელიც დამაზუსტებელი შეკითხვის დასმის დროს ბრძანებს, მხოლოდ ხელშეკრულების სათაური წავიკითხე, ხოლო თარიღი და პირობები არ წამიკითხავსო. ჩვენ გაჩვენებთ ხელშეკრულებას, სადაც თარიღი სათაურის გვერდით არის მითითებული. თუ მან ხელშეკრულების სათაური წაიკითხა, შეუძლებელია, თარიღი არ ენახა. მეორეც, როცა მილიონებს ატრიალებს ვიღაც ჟურნალისტი ბალამწარაშვილი, რომელიც ჟურნალისტური საზოგადოებიდან ვერავინ ამოიცნო, იმდენიც უნდა იცოდეს, რომ ხელშეკრულება წაიკითხოს და მის პირობებს გაეცნოს. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ შემთხვევასთან, როცა პროკურატურის დახმარებით ცდილობენ, ჯოხი გადატეხონ პატიოსან ადვოკატზე და ამით ჩამოიცილონ ის თავისი კანონიერი მოთხოვნის შესრულების საქმეში. ჩვენ გვაქვს უკვე მოპოვებული საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია. ჯერჯერობით ამ მტკიცებულებების გამოქვეყნებისგან თავს შევიკავებთ. ჟურნალისტ ბალამწარაშვილს სხვა საადვოკატო ბიუროსთანაც ჰქონდა ურთიერთობა, სანამ ტარიელ მურვანიშვილს გადაეყრებოდა და იმასაც იმავე პირობას სთავაზობდა — მომემსახურეთ და თანხას მერე აგინაზღაურებთ.

პრესკონფერენციის ბოლოს გავესაუბრეთ ზაქრო ქუცნაშვილს, რათა საზოგადოებისთვის უფრო ნათელი ყოფილიყო იმ საქმის დეტალები, რომელიც ადვოკატმა ტარიელ მურვანიშვილმა მოიგო და რომელიც მისთვის საბედისწერო გამოდგა.

***— ბატონო ზაქრო, რა შუაშია ამ საქმესთან ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი ბჟალავა და კონკრეტულად რა ბიზნესინტერესებზეა საუბარი?***

— 2007 წელს ბელგიის მოქალაქე დენიელ რენიელსმა, რომელიც თავისივე ჩვენებაში წერს, რომ არის საშუალო განათლების მქონე ადამიანი, აქვს ფარდა-ჟალუზებისა და დიზაინის ბიზნესი ბელგიაში, ქართველი გოგონას ანა ბალამწარაშვილის რეკომენდაციის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში დაეწყო ბიზნესი და რამდენიმე მილიონი დაებანდებინა მისთვის უცნობ ხე-ტყის ბიზნესში. აქ ანა ბალამწარაშვილი იკვეთება პიროვნებად, რომელიც უწევს რკომენდაციას და ამ პიროვნებას სთავაზობს მისთვის უცნობ ბიზნესში რამდენიმე მილიონის ინვესტირებას, იღებენ მონაწილეობას აუქციონში ხე-ტყით სარგებლობის ლიცენზიის დაუფლებისთვის, რომელიც სამცხე-ჯავახეთის ტყეებზე გაიმართა. იმარჯვებენ ამ აუქციონში, რომლის ღირებულებაა 2 800 000 ლარი, შესაბამისად, 1,5 მლნ-ს იხდის რენიელსი და დარჩენილი თანხის გადახდაზე პოულობს საქართველოს მოქალაქეს, ვინმე ზურაბ ადამიას, რომელთანაც დებს შეთანხმებას შემდეგ პირობაზე, რომ თუ ზურაბ ადამია დაფარავს ლიცენზიის დარჩენილი ნაწილის ღირებულებას, მაშინ ის მოიპოვებს 49%-ს ტყით სარგებლობის ლიცენზიაში წილის სახით. მაგრამ ზურაბ ადამია ამბობს, მე ვნახე და იმდენად გაჩეხილი იყო ეს ტყეები, რომ აღარ გადავიხადე თანხა და აღარ შევედი ამ ბიზნესშიო. ადამია შეცდა, როცა დადებული ხელშეკრულება რენიელსთან თავის დროზე არ გააუქმა, სანამ ის ვინმეს ზიანს მიაყენებდა. შესაბამისად, 2008 წელს საქართველოს მთავრობამ თანხის გადაუხდელობის გამო გააუქმა ეს ლიცენცია რენიელსს. ანა ბალამწარაშვილი, რომლის რეკომენდაციითაც რამდენიმე მილიონს იხდიან ადამიანები მათთვის უცნობ ბიზნესებში, რაც დაუჯერებელი ლეგენდაა, საკმაოდ აქტიურობს ამ საქმეში. ზურაბ ადამიასთან, როცა შეთანხმება შედგა 2007-2008 წლებში, დაიდო პირობა, რომ რენიელსი გადმორიცხავს და დამატებით 1 მლნ ლარს და ამ თანხით ადამიას უნდა შეეძინა ხე-ტყის რეწვისთვის დანადგარები, ტექნიკა და მანქანები. რენიელსმა გადმორიცხა ამისთვის 400 000 ევრო ანუ 1 მლნ ლარი.

***— კი მაგრამ, ლიცენზია ხომ უკვე გაუქმებული იყო?***

— კი, როგორც გითხარით, ლიცენზია 2008 წელს გააუქმეს. ადამიამ არ გადაიხადა ის თანხა, რომელიც უნდა გადაეხადა და ასეთ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბალამწარაშვილი ისევ ჩაერია თავისი გავლენიანი მეგობრების მეშვეობით და აქ უკვე პირველად ჩნდება პარლამენტის წევრი რომანოზ ბჟალავა, რომლის კაბინეტშიც დაიგეგმა ამ პრობლემების მოგვარება. ანა ბალამწარაშვილი ჩვენებაში ამბობს, მე შევედი ვერა ქობალასთან და გაუქმებული ლიცენზია აღვადგენინე. ვერა ქობალიას უწყებამ მომთხოვა, დამატებით 400 000 კიდევ გადაიხადეთ, ლიცენზიას აღგიდგენთ და ტყით სარგებლობა-რეწვის უფლებას მოგცემთო. ამის შემდეგ შევიდნენ ტყეებში. 7 სატყეო უბანი იყო და აღმოჩნდა, რომ ტყეები გაჩეხილი იყო. როგორც ბალამწარაშვილი ამბობს, იმის გამო, რომ ტყის მასივი გაჩეხილი იყო, რენიელსმა უარი თქვა დარჩენილი თანხის გადახდაზე. მილიონ-ნახევარი ხომ არის გადახდილი, 4 სატყეო უბანი წაიღეთ ამ თანხაში და დანარჩენი დაგვიტოვეთო, უთქვამთ. საქართველოს მთავრობამ კიდევ ერთხელ გააუქმა ეს ლიცენზია, იმიტომ რომ პირობა ვერ შეასრულეს. ანა ბალამწარაშვილი ჩვენებაში წერს, რომ ამის შემდეგ ისინი ისევ შეხვდნენ დეპუტატ ბჟალავას კაბინეტში, მან გამაცნო თავისი თანაშემწე აკაკი კახაძე და ის დამპირდა, დაგეხმარები პრობლემების მოგვარებაშიო.

***— როგორ ფიქრობთ, მაინცდამაინც დეპუტატი ბჟალავა რატომ შეირჩა იმ ფიგურად, რომელსაც თურმე მერაბიშვილის სამფლობელოში — სამცხე-ჯავახეთში, სადაც შემწვარი ქათმის პატრონის ამოცნობაც არ ჭირს, იოლად შეეძლო ხე-ტყის ბიზნესში საკუთარი პოზიციების გატარება?***

— ჟურნალისტი ბალამწარაშვილი და დეპუტატი ბჟალავა ძალიან ახლო მეგობრები არიან.

***— გასაგებია, მაგრამ ასეთი გავლენიანი დეპუტატია ბჟალავა სააკაშვილის უმრავლესობაში? ჟურნალისტები ამბობენ, რომ ამ დეპუტატს თავად ნაცელიტაც კი არ იცნობს.***

— აქ რამდენიმე ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ერთი ვარაუდი: ესენი ფულს ათეთრებენ რენიელსის ხელით. ეს არის ქართული ფული, რომელიც გაიცა ბალამწარაშვილის ხელით და შემოვიდა ე.წ. რენიელსის მიერ. რენიელსი ამბობს, მე ფარდა-ჟალუზების კერვითა და წარმოებით ვარ დაკავებული და ხე-ტყის ბიზნესი ჩემთვის უცნობიაო. მე არ მჯერა, რომ რამდენიმე მილიონი შეიძლება ვიღაც გოგოს რეკომენდაციის საფუძველზე დააბანდო უცხო ქვეყნის უცხო ბიზნესში. ეს ან შეიძლება იყოს ფულის გათეთრების კარგი საშუალება და ბჟალავა და მისი საზოგადოება საკმაოდ შეძლებული ხალხია. ნუ გგონიათ, რომ ესენი არიან დეპუტატის 3 ათას ლარიან ხელფაზე დამოკიდებული ადამიანები. ესენი ბიზნესმენები არიან. შეისწავლეთ ბჟალავას ქონებრივი დეკლარაცია და ნახავთ, რა ქონებას ფლობს. და მეორე — ან ეს რენიელსია ძალიან გულუბრყვილო. რენიელსი წერს, ბალამწარაშვილმა ეს თანხა რომ ჩამადებინა, მითხრა, მე ფული არა მაქვს, ვერ ჩავდებ, მაგრამ ეს ბიზნესი თუ ავაწყვეთ, ნახევარი ჩემი იქნება, ნახევარი შენიო. მე შევპირდი ბალამწარაშვილს, რომ ნახევარ ბიზნესს მივცემდიო. ამ დროს ბალამწარაშვილს სჭირდება „კრიშა“, რომელიც დაეხმარება. და ვინ იპოვა ამ „კრიშად“ — დეპუტატი ბჟალავა. 5-ჯერ ახსენებს ჩვენებაში ბჟალავას ბალამწარაშვილი, აბაშაში მის ოჯახში შევხვდით, კაბინეტში შევხვდით, თანაშემწე გაგვაცნო. ეს თანაშემწე შეგვპირდა პრობლემების მოგვარებასო და ა.შ. ანუ ბჟალავამ თავის თანაშემწე კახი კახაძეს გადაულოცა პრობლემების მოგვარება.

***— რა დროს ჩაერთო საქმეში ადვოკატი ტარიელ მურვანიშვილი?***

— მეორედაც რომ ზიანი მიადგათ და მეორედ გააუქმეს ლიცენცია, ამ დროს ერთვება საქმეში ადვოკატი ტარიელ მურვანიშვილი. ბალამწარაშვილს ადვოკატი სასტუმრო „რედისონში“ შეხვდა. ბალამწარაშვილი ეუბნება, ფული არ მაქვს. მაქსიმუმ 1000 ლარს მოგცემ სამოძრაოდ. თუ საქმეს მოგვაგებინებ, იცით, რომ ხე-ტყის ლიცენზიის გაუქმებისას გადახდილი თანხა უკან არ გიბრუნდება და თანხას ამოგვაღებინებ, რა თანხასაც ამოგვაღებინებ, იმის ნახევარი თქვენ, ნახევარი — მე. ტარიელი არ ენდო და საადვოკატო მომსახურებაზე ხელშეკრულება გააფორმებინა, რომლითაც ტარიელმა ივალდებულა კომპლექსური საადვოკატო მომსახურების გაწევა. სისხლის სამართლის კუთხით დადასტურდა გადმორიცხული 400 ათასი ევროდან 108 ათასი ევროს გაფლანგვა. ამ საქმის გამო დღეს ზურაბ ადამია ციხეში ზის. სამოქალაქო საქმიდან 1 200 000 ლარის ზიანი დაუდასტურდა ამ სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ადამიას. 2011 წლის 29 აპრილს ადამია სთავაზობს მორიგებას, მე ფული არა მაქვს, სასამართლო მაინც დამიყადაღებს ქონებას, გამიყიდის და მოდი, თქვენ გადმოგცემთ ამ ქონებას და გავქვითოთ ეს ვალდებულებები, ან მოყენებული ზიანის ანაზღაურება მოვახდინოთ გადმოცემული ქონებითო. შესაბამისად, ადვიკატმა მურვანიშვილმა, რენიელსის წარმომადგენელმა, გააფორმა ადამიასთან სანოტარო ხელშეკრულება და ორხევის დასახლებაში საკმაოდ ძვირადღირებული ბაზა გადაეცა ადამიასაგან რენიელსს. დღესაც ეს ქონება რენიელსის სახელზეა საჯარო რეესტრში. ამის მერე ადვოკატმა მოითხოვა შრომის ანაზღაურება. ეუბნება, ნახევარს თუ ვერ გადამიხდით, 40 ან 30% გადამიხადეთო. რენიელსი ადგა და 24 სექტემბერს სოდში უჩივლა. 9 სექტემბერს ადვოკატი ტარიელ მურვანიშვილი დაიჭირეს, ვითომ მან მოატყუა ანა ბალამწარაშვილი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას.

***— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ჟურნალისტი ბალამწარაშვილი ფინანსურ მაქინაციებშია გარეული და „კრიშებს“ პარლამენტში პოულობს. ასეა?***

— ეს ადამიანი „კრიშების“ მეშვეობით საშუამავლო საქმიანობას აწარმოებს და ამაში სერიოზულ სარგებელს იღებს. რენიელსი წერს, 4 000 დოლარი მივეცი ანა ბალამწარაშვილს, რომ ადვოკატისთვის გადაეცაო. მას კი ადვოკატისთვის ეს თანხა არ გადაუცია.

***— რაც შეეხება დეპუტატ ბჟალავას, ამბობენ, რომ მას პარლამენტში არ იცნობენ. ეს დეპუტატი დაიკარგაო...***

— ჩვენ ვაპირებთ, დავკითხით დეპუტატი ბჟალავა, მაგრამ ის საქართველოში არ იმყოფება ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო. პროკურატურის ინფორმაციით, ბჟალავა ქვეყნიდან არის გასული და დღეისათვის საქართველოში არ იმყოფება. ყოველ შემთხვევაში, 11 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე პროკურორმა პირდაპირ განაცხადა, ეს პიროვნება საქართველოში არ იმყოფებაო, ხოლო ბალამწარაშვილი რას ამბობს, იცით, ბჟალავაზე? — მას შემდეგ, რაც სოდმა მომამაგრა მიკროფონი და ფარული კამერა, მე ჩავწერე და ამ ჩაწერას კახი კახაძესთან ერთად დეპუტატი ბჟალავაც ესწრებოდა, მაგრამ, როცა დეპუტატი ლაპარაკობდა, ჩამწერი გამიფუჭდაო. ეს ხომ აბსურდია, იმიტომ რომ, როცა ფარული ჩამწერით მიდიხარ, გამორიცხულია, თვალი ადევნო, ჩამწერი მუშაობს თუ გაფუჭდა.

**ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტ ზაზა ხატიაშვილის თქმით, სააკაშვილის ხელისუფლებამ უკვე 122 ადვოკატის მიმართ დააყენა გამამტყუნებელი განაჩენი. ადვოკატთა ასოციაციის ოფისში შედგა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის სხდომა, რომელმაც გამოხატა უდიდესი შეშფოთება დაკავებულ ადვოკატებთან მიმართებით.**



ზაქრო ქუცნაშვილი



რომანოზ ბჟალავა

## ლადო გურგენიძე: „საქართველოს ხელისუფლების კრახის შემთხვევაში აზერბაიჯანი რუსულ ორბიტაზე აღმოჩნდებოდა“

სკანდალურად ცნობილი პორტალი „ვიკილიქსი“ აქვეყნებს საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის მიერ 2008 წლის 25 აგვისტოს ვაშინგტონში გაგზავნილ წერილს, სადაც ამერიკელი დიპლომატი სახელმწიფო დეპარტამენს საქართველოს მაშინდელი პრემიერის ლადო გურგენიძის და სენატორ ჯოზეფ ბაიდენის (აშშ-ს დღევანდელი ვიცე-პრეზიდენტი) შეხვედრის დეტალებს აცნობს. წერილის მიხედვით, ბაიდენი და გურგენიძე 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ საუბრობენ. გურგენიძემ ბაიდენს სთხოვა, რომ აშშ-ს მონაწილეობა მიეღო საქართველოს დასახმარებლად ფინანსური ფონდის შექმნაში.



ტეფტის კონფიდენციალური წერილის თანახმად, ბაიდენმა უთხრა გურგენიძეს, რომ თუ საქართველოში რუსეთის ინტერვენცია გაგრძელდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ უსაფრთხოების სფეროში დემოკრატიული ევროპის 18-წლიანი პროგრესი უბრალო დროის კარგვა იყო. ბაიდენის მტკიცებით, მან ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინა რამდენიმე მსოფლიო ლიდერის აზრი, რომლებიც მომხდარით შეშფოთებულები იყვნენ და ამბობდნენ, რომ რუსეთს თავისი ქმედებების გამო საზღაური უნდა გადაეხადა.

ბაიდენს გურგენიძე დაეთანხმა და განაცხადა, რომ რუსეთის ქმედებები აზერბაიჯანსა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე პროცესებსაც ეხებოდა. ყოფილი პრემიერის თქმით, საქართველოს ხელისუფლების კრახის შემთხვევაში აზერბაიჯანი რუსულ ორბიტაზე გადავიდოდა და თურქმენეთთან დაკავშირებით გავლენის მოხდენის ყოველგვარი შანსი დაიკარგებოდა.

— გარდა ამისა, გურგენიძემ თქვა, რომ ყაზახეთი საქართველოს მიმართ უკვე გაცივდა, ხოლო უკრაინელი პოლიტიკოსები მათ შორის ტიმოშენკო დისტანციას იჭერდნენ და ამას ნეიტრალიტეტით ხსნიდნენ. გურგენიძემ განაცხადა, რომ რუსებს საქართველო დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინათ. ბაიდენმა კი აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ევროპის ძლიერი და მტკიცე რეაქცია იყო საჭირო, — წერს ტეფტი.

მედიანიუსი

# კახა კუკავა: „ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე მალე დაბრუნდება“

## რის სანაცვლოდ მიიღებს ქართულ პროდუქციას მოსკოვი?

ნათია ხურცილავა

**„თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა აქტიურად დადის მოსკოვში. როგორც თავად ამბობს, რუს პოლიტიკოსებთან ქართული ღვინისა და მინერალური წყლების დაბრუნებაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამბობს, რომ წარმატებას მიაღწია. მისი თქმით, რუსეთი მზადაა ქართული პროდუქციის მისაღებად.**



კახა კუკავა

რა ეტაპზეა მოლაპარაკებები, რომელი პროდუქცია გავიდა უკვე რუსულ ბაზარზე, როგორია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ამასთან დაკავშირებით ამ თემებზე „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**კახა კუკავა:**

— ამ კონკრეტულ საკითხზე მოლაპარაკებები პრაქტიკულად დასრულებულია. ამჟამად დაკავებული ვართ ამ შეთანხმების რეალიზაციით. ბორჯომი უკვე გავიდა რუსეთის ბაზარზე. ამჟამად ვმუშაობთ, რომ ღვინისა და კონიაკის მწარმოებელი კომპანიის პროდუქტებიც გავიდეს რუსეთის ბაზარზე. ამ წუთში რუსულ მხარესთან ტექნიკური საკითხების დაზუსტება ხდება.

***— რომელ ქართულ კომპანიებზეა საუბარი?***

— შეათნხმება გვაქვს, რომ ჩვენ მათ მაგივრად არ გავაკეთებთ განცხადებებს. თუმცა, უკვე გააკეთა განცხადება ბორჯომის კომპანიამ და უახლოესი ათი დღის ფარგლებში 6-7 ღვინის მწარმოებელი კომპანია გააკეთებს განცხადებას. ქართული კომპანიები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებული, რომ გაიხსნას ეს ბაზარი. სააკაშვილის ემბარგოს პირობებში რეალურად კომპანიები გაკოტრების ზღვარზე არიან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა. ბორჯომი, რომელიც რუსულ ბაზარზე დაბრუნდა, ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია, მან მეტ-ნაკლებად აითვისა სხვა, ევროპული ბაზრები, მაგრამ, რაც შეეხება ღვინისა და კონიაკის მწარმოებელ კომპანიებს, პრაქტიკულად გაკოტრებული აღმოჩნდნენ. ნებისმიერ ღვინის კომპანიაში რომ მიხვიდეთ, ნახავთ, რომ ეს კომპანიები არ მუშაობენ. მათი ქარხნები ძირითადად მარაგების შენახვით არიან დაკავებული. ხანდახან შეიძლება შეკვეთა მიიღონ, რომ დამატებით ღვინო ჩამოასხან, თორემ საწარმო ციკლს ისინი არ აწარმოებენ, რადგან დაგროვილი მარაგების რეალიზაციას ვერ აუდიან. ამ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, არა მხოლოდ მარაგი აწარმოონ, არამედ შეუფერხებლად აწარმოონ საწარმოო ციკლი.

***— ციფრებში როგორ გამოიყურება...***

— ციფრებში რომ გითხრათ, 2005 წელს ვყიდდით 41 მილიონ ლიტრ ღვინოს. ეს იყო ბოლო წელი ემბარგომდე. ახლა ვყიდით 12 მილიონს. ამის შემდეგ როგორ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ეს ბაზარი არ გვინდა, როდესაც ამ ბაზრის სამი მეოთხედი სწორედ რუსული ბაზარი იყო.

***— რატომ არ გვინდა, ამის ახსნა თუ იყო?***

— ეკონომიკური ახსნა არ არსებობს. მაგალითად, ვერა ქობალიამ განაცხადა, ჯერ მათმა ოკუპანტებმა დატოვონ აფხაზეთიო, რაც თავისთავად სრული სისულელეა, რადგან, როდესაც ორივე ჩვენს ინტერესებში შედის. მიხეილ სააკაშვილის მხრიდან იყო ასეთი განცხადებები კიდევ, რუსული ბაზარი იმდენად დიდია, რომ ფალსიფიკაციას გამოიწვევსო. ესეც აბსურდია. ეს იგივეა, კომუნისტები რომ ამბობდნენ, არ გვინდა ქვეყანაში ბევრი ფულის დატრიალება, რადგან ბევრი ფული კრიმინალს, კორუფციას იწვევსო. რაიმე სერიოზული ახსნა, რომელიც ხელშესახები იქნებოდა, არ ყოფილა და არც იქნება. ამას წინათ ამერიკის უდიდესმა საინვესტიციო ბანკმა „გოლდმან საქსმა“ განაცხადა, რომ ყველაზე საინტერესო და დინამიკურად განვითარებადი ბაზარი რუსეთია. ამერიკული უძლიერესი კომპანიისთვის რუსეთის ბაზარი ყველაზე საინტერესოა და საქართველოსთვის, რომელიც სილატაკის ზღვარზეა, თურმე რუსეთის ბაზარი არ არის საინტერესო. რა თქმა უნდა, ეს ეკონომიკური თვალსაზრისით აუხსნელია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით ძალიან ადვილი ახსნა აქვს.

***— რა ახსნა აქვს?***

— ის, რომ მიხეილ სააკავშილი დაკომპლექსებულია იმის გამო, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ის ამტკიცებდა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებებს აზრი არა აქვს, რომ აქედან არაფერი გამოვა, რომ ისინი მონღოლ-თათრები არიან, რომ ისინი არაფერს დათმობენ. ამ დროს არათუ ხელისუფლებამ, არამედ ოპოზიციაში მყოფმა პარტიამ (ჩვენს პარტიას ვგულისხმობ) მოახერხა და ის საკითხები, რომლებზეც ამბობდნენ, რომ არ გამოვა, კუკავას ვინ ჰკითხავს, ეს ხომ წარმოუდგენელია, უკვე შედეგი სახეზეა.

***— რა შედეგი გვაქვს?***

— შედეგი არის ის, რომ კონკრეტულად ბორჯომის კომპანია არის რუსეთის ბაზარზე. ღვინისა და კონიაკის კომპანიები ჯერ ფიზიკურად არ არიან, თუმცა, ეს საკითხიც რუსულ მხარესთან გადაწყვეტილია, ტვირთის საქართველოდან რუსეთამდე ჩატანაა დარჩენილი. ეს არის გადაწყვეტილი, რაც ძალიან დიდი მიღწევაა. წარმოიდგინეთ, სააკაშვილი რომ ყოფილიყო ოპოზიციაში შევარდნაძის დროს და ასეთი რამისთვის მიეღწია თავისუფალი მედიის პირობებში, წალეკილი ექნებოდა მთელი ტელევიზიები. უნდა ვთქვა, რომ ეს პირველი ნაბიჯია. ეს არ არის ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება შესაძლებელია.

***— როგორ?***

— თუ ჩვენ მათ არ ვუძახებთ მონღოლ-თათრებს, თუ არ დავუმიზნებთ ნატოს რაკეტებს, თუ არ მოვაწყობთ პროვოკაციებს, რომელსაც სააკაშვილი მიმართავდა 2006 წლიდან, თუ მოახერხეს უკრაინელებმა, ყაზახებმა, სომხებმა, მოლდოველებმა, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, მაშინ საქართველოსაც შეუძლია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება.

***— ჩვენ შორის ურთიერთობა სხვა დონეზეა, ომი იყო, ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია...***

— სააკაშვილის კურსის შედეგად ჩვენ უკვე ვნახეთ, რაც მივიღეთ — დაკარგული ტერიტორიები, დახოცილი ადამიანები, იზოლირებული ქვეყანა, ნატოში გაწევრიანების დაკარგული შანსები, მხოლოდდამხოლოდ ნეგატივები. ჩვენი კურსის შედეგად უკვე არის პირველი პოზიტივები. გარწმუნებთ, იქნება შემდეგი პოზიტივები არა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობების, არამედ კონფლიქტების სფეროშიც. რუსეთი მზად არის, რომ საქართველოს მიმართულებით გადადგას ნაბიჯი, რომ მან გადადგას შემხვედრი ნაბიჯები, მაგრამ ეს უნდა იყო ურთიერთკომპრომისის შედეგად.

***— რის სანაცვლოდ, თუ არის ამაზე საუბარი?***

— ამ ეტაპზე ამაზე საუბარი პრაქტიკულ რეჟიმში არ არის, თუმცა, გასაგებია, მსჯელობების დროს რა იგულისხმება.

***— რა იგულისხმება?***

— ის, რომ საქართველომ თავის ტერიტორიაზე არ უნდა განალაგოს არც ერთი უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზა.

***— ასევე უარი ვთქვათ ნატოზე?***

— ნატოზე უარის თქმა არ არის რუსეთის მოთხოვნა, რადგან ნატო ჩვენთვის აღარ არსებობს. დღეს საუბარია არა იმაზე, რომ საქართველო გაწევრიანდება ნატოში, არამედ იმაზე, რომ საქართველოში განლაგდება ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე ამერიკის ან თურქეთის ბაზები. საქართველო არც წევრობის კანდიდატია, არც მაპი გვაქვს, არც აიპაპი. ამ საკითხზე ძალიან მყარი პოზიცია აქვთ გერმანიას, საფრანგეთს, კონტინენტური ევროპის ქვეყნებს. თეორიულადაც არავინ განიხილავს, რომ საქართველო ნატოს მიუახლოვდეს, სანამ ეს ხელისუფლება იქნება.

***— რამდენად რეალურია ბაზების განლაგება?***

— ძალიან რეალურია. ამერიკის მოთხოვნა კი არ არის, სააკაშვილი ლობირებს. ჩეხეთმა და პოლონეთმაც კი, რომლებიც ყველანაირად დაცული არიან, რუსეთიდან 700 კილომეტრის დაშორებით აქვთ საზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთში მყისიერი საფრთხე რუსეთიდან არ ემუქრებათ, თქვეს, არ გვინდა ეს რაკეტებიო, რადგან ეს გააუარესებს მათ ურთიერთობას რუსეთთან. სააკაშვილმა თქვა, თუ ჩეხეთსა და პოლონეთს არ უნდათ, საქართველოში განვალაგოთო.

***— ეს აშფოთებთ რუსებს? მოლაპარაკებებზე ეს იგრძნობა თუნდაც ონიშჩენკოს დონეზე?***

— არა, ონიშჩენკოს უწყების საკითხი ეს არ არის. ამერიკული რაკეტები რომ იქნება განლაგებული ჩვენთან, ეს არ იქნება მხოლოდ რუსეთის შეშფოთების საგანი, ირანის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდანაც აღიქმება მტრულად. გვინდა ვიყოთ რეგიონში ისე, როგორც ისრაელია, როდის დაჯიჯგნიან, კაცმა არ იცის. საქართველოსთვის უკეთესია, იყოს ბუფერი, ვიდრე პოლიგონი.

***— ისევ ონიშჩენკოს რომ დავუბრუნდეთ, მოლაპარაკებებს მხოლოდ მასთან აწარმოებთ?***

— არა. ონიშჩენკო არ არის პოლიტიკური მოლაპარაკებების სუბიექტი. ის მთავარი სანიტარიული ექიმია. მოლაპარაკებებს ჩვენ ვაწარმოებდით რუსეთის პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციის სხვადასხვა კომიტეტის ხელმძღვანელებთან.

***— მაგალითად?***

— საგარეო კომიტეტის ხელმძღვანელ კოსაჩოვთან, ეკონომიკური კომიტეტის ხელმძღვანელ ფიოდოროვთან, ასევე ოპოზიციური ფრაქციების ხელმძღვანელებთან მუდმივად გვქონდა კონსულტაციები ამ თემაზე. ჩვენ გვაქვს კონცეფცია, რომელიც რუსეთში დღითიდღე პოპულარული ხდება.

***— რა კონცეფციაა?***

— თუ თქვენ საქართველოს მიმართ სადამსჯელო ღონისძიებებსა და სანქციების პოლიტიკას გაატარებთ, ამით სააკაშვილს კი არ დაასუსტებთ, პირიქით, გააძლიერებთ, რადგან სააკაშვილი იკვებება ამ პოლიტიკით. თუ რუსეთი საქართველოს მიმართ ცალმხრივად გადადგამს პოზიტიურ ნაბიჯებს და არ დაელოდება ხელისუფლების შეცვლას, ეს გააძლიერებს ქართულ სახელმწიფოს და საზოგადოებას და სააკაშვილს ხელიდან აცლის არგუმენტებს. რუსეთისთვისაც ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც დღითიდღე იზრდება ამერიკის პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტიზმი. ჩვენ მოვიპოვეთ ძალიან ძლიერი ლობი რუსეთში. ეს პროექტი პილოტურია. კმაყოფილი ვართ არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს გამოვიდა, არამედ ქართველი საზოგადოების მხრიდან სწორი შეფასება მოჰყვა. სოციოლოგიური კვლევა არ შემიკვეთია, მაგრამ რამდენიმე ინტერნეტ-ფორუმზე ათასამდე ადამიანი გამოეხმაურა. დაახლოებით 300-მდე ადამიანი ამბობს, რომ კარგია, 7 წინააღმდეგია. ტენდენცია სრულიად აშკარაა. ვენახში ჩატარებული შეხვედრებიც მეტყველებს ამაზე. სააკაშვილმა შეიძლება თავის მინისტრებსა და პროკურორებს ათქმევინოს, რომ რუსული ბაზარი არ გვინდა, მაგრამ, აბა ერთი გლეხი გამოიყვანონ და ათქმევინონ, რომ რუსული ბაზარი არ უნდა. როდესაც სამუშაო ადგილებზე ვსაუბრობთ, საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნა შეუძლია მხოლოდ რუსულ ბაზარს. მეტი სხვა შანსი საქართველოში უმუშევრობის დაძლევისა არ არსებობს.

***— რუსეთში როგორია განწყობები თუნდაც იმ დონეზე, რაზეც საუბრობთ?***

— მოსკოვში, რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში განწყობები ძალიან ცვალებადია. ვფიქრობ, მათ ბევრი რამე გადააფასეს. ბევრი მოკავშირე ჰყავდათ მათ საქართველოში, რომლებიც ძალიან არარეალურ პროექტებს სთავაზობდნენ მათ. ბევრჯერ ცხვირი დაარტყეს იმის გამო, რომ არაფერი გამოვიდა. ჩვენი პრინციპია, რომ რუსეთს სჭირდება საქართველოში არა ჯაშუშები, მარიონეტები, რომლებიც ვერასდროს მოვლენ ქართულ პოლიტიკაში წამყვან პოზიციებზე, არამედ მათ სჭირდებათ მოკავშირეები, რომლებთანაც ინტერესების თანხვედრა ექნებათ. ჩვენ მზად ვართ, ვიყოთ მოკავშირე იმ პირობით, რომ რუსეთი დაეხმარება საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იურისდიქციის აღდგენაში, ხოლო საქართველო უზრუნველყოფს იმას, რომ სამხრეთ კავკასიაში არ იქნება განთავსებული რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი არც ერთი სამხედრო ბაზა. მარიონეტები, რომლებიც უკანა თათებზე დადგებიან და ნებისმიერ მოთხოვნას შეასრულებენ, დღეს შეიძლება ერთი ქვეყნისკენ იყვნენ, ხვალ — მეორე ქვეყნისკენ. ჩვენ რუსებს ვეუბნებით, რომ აუცილებელია მოიძებნოს რუსულ-ქართული კომპრომისი. თუ რუსეთი მხარს დაუჭერს საქართველოს სწრაფვას აფხაზებთან და ოსებთან ინტეგრაციის შესახებ, მთელი ქართველი საზოგადოება მზად იქნება, რუსულ-ქართული სტრატეგიული სამოკავშირეო აქტი დაიდოს. ეს არის კონცეფცია, რომელიც ძალიან ბევრ მომხრეს ნახულობს არა მხოლოდ რუსულ ზომიერ პოლიტიკურ, არამედ რადიკალურ წრეებშიც.

***— მაგალითად, ჟირინოვსკი?***

— დიახ. არა მხოლოდ ჟირინოვსკი. აშკარაა, ისინი აცნობიერებენ, რომ საქართველოსთან მტრობა მთელ კავკასიაში დესტაბილიზაციას ნიშნავს.

# მიხეილ სააკაშვილი: „გვინდა გვყავდეს ჯარი? — უნდა ვიყოთ ავღანეთში“



საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მას თავისი თანამდებობა და სიცოცხლე არაფრად უღირს, როდესაც საქმე საქართველოს და მის უზენაეს ინტერესებს ეხება. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, გორში თავდაცვის განახლებული აკადემიის გახსნის ცერემონიალზე განაცხადა.

— დღეს ძალიან ბევრი ადამიანი სვამს კითხვას, რა უნდათ ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში? ხშირად მსმენია, რომ მათი იქ ყოფნით საქართველოს მთავრობა პოლიტიკურ ქულებს იწერს, სააკაშვილს სურს სკამის შენარჩუნება და ამიტომ წირავს ქართველ ჯარისკაცებს. მე ჩემი სკამი, ჩემი სიცოცხლე, არაფრად მიღირს საერთოდ, როცა საქმე საქართველოს და მის უზენაეს ინტერესებს ეხება. ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში იმიტომ არიან, რომ ეს ქართულ შეიარაღებულ ძალებს აძლიერებს, ეს არის ფასდაუდებელი საბრძოლო გამოცდილება, რომელიც მსოფლიო ჯარებთან ურთიერთობისას ყალიბდება,— აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ჯარს მუდმივი მომზადება და საბრძოლო მოქმედებებში გამოცდა სჭირდება.

— თუ კარგად დავფიქრდებით, დავინახავთ, რომ საქართველოს სჭირდება გამოცდილი ჯარი. ეს გამოცდილება კი ავღანეთის ფრონტზე მოიპოვება. გვინდა გვქონდეს ქვეყანა? უნდა გვყავდეს ჯარი, გვინდა გვყავდეს ჯარი? — უნდა ვიყოთ ავღანეთში, — აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მან კარგად იცის, რომ ეს არაპოპულარული ქმედებაა, მაგრამ ისიც იცის, რომ განსხვავებით პოლიტიკური დემაგოგებისგან, მათ შეუძლიათ პოპულარობაზე მაღლა დააყენონ, ის რაც საქართველოს გრძელვადიან ინტერესს წარმოადგენს.

მისი თქმით, გადამწყვეტ მომენტში ამ სკოლაგმოვლილი ჯარისკაცები საქართველოს დაიცავენ და გაიმარჯვებენ კიდეც.

— ეს არის ფასდაუდებელი საბრძოლო გამოცდილება მსოფლიოს საუკეთესო ჯარებთან ურთიერთქმედების და მე თვითონ მაქვს მოსმენილი გენერალ პეტრეუსისგან, რომ საქართველოს კონტინგენტი იყო საუკეთესო კონტინგენტი ამერიკელების გარდა, რომელთანაც მას როდესმე ჰქონია ურთიერთობა ერაყსა და ავღანეთში და ეს არა მხოლოდ მისი აზრია, — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ ჯარს მუდმივი მომზადება და გამოცდა სჭირდება, მათ შორის საბრძოლო მოქმედებებში.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ჯარისკაცები ქართული საზოგადოების საუკეთესო ნაწილი არიან.

**მედიანიუსი**

## რატომ ართმევენ ბინას სიკო დოლი ის ქალიშვილს

# ქეთი დოლიძე: „სანამ ცოცხალი ვარ, მამაჩემის სახლში ვერავინ შევა“

ეკა ირემაშვილი

**რეჟისორი ქეთი დოლიძე მის საკუთრებაში არსებული ბინის აუქციონზე გატანას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ ის იმ პოზიციების დაფიქსირების გამო ისჯება, რომელიც წმინდა მოქალაქეობრივი თვალსაზრისით გააჩნია. საკუთარი სახლის წინ გამართულ ბრიფინგზე რეჟისორმა აღნიშნა, რომ იგი წლების წინ დადებული თაღლითური გარიგების მსხვერპლია. თეატრალურ ფესტივალ „საჩუქრის“ გამო რეჟისორმა საკუთარი ბინა დააგირავა, თუმცა ირწმუნება, რომ ხელი არაფრისთვის მოუწერია. მისი თქმით, სანამ ცოცხალია, მამის ბინაში არავის შეუშვებს.**


ქეთი დოლიძე

ქეთი დოლიძეს 67 ათასი დოლარის თანხას ედავებიან, თავად რეჟისორი კი ირწმუნება, რომ 20 ათასი გადახდილია, თუმცა ამ თანხის შესახებ რამდენიმე დღის წინ მიღებულ აღსრულების ბიუროს წერილში არაფერი წერია. ქეთი დოლიძის მხარდასაჭერად კულტურის სფეროს წარმომადგენლები შეიკრიბნენ და მასმედიას დედაქალაქის მერისა და კულტურის მინისტრისადმი მიწერილი მიმართვა გააცნეს.

ქეთი დოლიძე:

— საქმე გვაქვს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნასთან. ეს უბედურება გრძელდება უკვე 14 წელია. ვერ გავიგე, რატომ არ გადაწყდა ეს საქმე ჩემს სასიკეთოდ, რადგან დანაშაული არ არსებობს. მე არავის წინაშე ვალი არ მიმიძღვის. ვკითხულობ. რატომ გაახსენდათ ეს საქმე ახლა? ეს ხომ მემორიალური ბინაა, მე ამ ბინის გასხვისებას ვერ შევეგუები. ერთხელ უწმინდესმა მითხრა, რაც უფრო მეტ განსაცდელს გამოგიგზავნის ღმერთი, მით უფრო გამორჩეული ხარო. თან იმაზე მეტს არ გიგზავნის ღმერთი, რაც არ შეგიძლია აიტანო. ჩვენ ვიცით, როგორ არის დღეს მოძალებული შური, ღვარძლი, ბოღმა, ჩაშვება. 37-მა წელმა ძალიან კარგად დაგვანახა, რას უშვრებოდნენ ერთმანეთს მწერლები და სხვები და სხვები. იმ პერიოდში ყველაზე სუფთად კინემატოგრაფისტები გამოვიდნენ. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ლუსტრაციის კანონის. გაოგნებული ვარ, როცა მესმის, რომ ზალიკო ჩიქობავა თხოულობს ლუსტრაციის კანონს. ისეთი ბრწყინვალე ოჯახიდან არის, ეს რაში სჭირდება, არ ვიცი. მისი მამა, მისი დედა, მაინტერესებს ვინ იყო მისი ბაბუა, არაჩვეულუბრივი ოჯახის შვილია. იცით ლუსტრაციის კანონით რატომ ვიწყებ საუბარს? როცა ეს კანონი მიიღეს პოლონელებმა, დღემდე ვერ პატიობენ საკუთარ თავს. საშინელება ხდებოდა პოლონეთში, ძალიან დაუპირისპირდა ერი ერთმანეთს და დღესაც ამბობენ, რომ ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა. ახლა ლუსტრაციის კანონი უნდათ ნეობოლშევიკებს საქართველოში. ვინც ამ კანონს უჭერს მხარს, ჩემი აზრით, ყველა ნეობოლშევიკია. ახლა მიდის გაუთავებელი ლაპარაკი იმაზე, რომ ჩარჩენილია ქართული თეატრი საბჭოთა ეპოქაში, რომ ახლა აჩვენებენ ამ თბილისის თეატრალურ ფესტივალზე რა არის ნამდვილი ავანგარდი. ამაზე მეცინება.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ იმაზე მეტი ავანგარდი, რაც ფესტივალ „საჩუქარზე“ ჩამოდიოდა, რაღა გინდათ? კამა გინკასის სპექტაკლი ავანგარდული არ იყო? ანატოლი ვასილევის სპექტაკლი ავანგარდული არ იყო? შეიძლება ბოლმის გამო ყველაფერი ამათგან იწყებოდეს? ისტორია ხომ თავის სიტყვას იტყვის? მუდმივად ესენი იქნებიან? არ არიან პოლიტიკოსები მუდმივად თავთავის ადგილზე, გადადიან- გადმოდიან და მერე საერთოდ მიდიან. როგორც შეიძლება ასე ხელაღებით ყველაფერზე ლაპარაკი. არ არის ეს ფესტივალი ჯერჯერობით ისეთი, რომ გაუთავებლად ილაპარაკო.

***— ჯონ მალკოვიჩი პატარა ვარსკვლავია?***

— ამას არავინ ამბობს. ძალიან მიხარია, მალკოვიჩი რომ ჩამოვიდა, მაგრამ ეს არ განსაზღვრავს ფესტივალის სახეს. ძალიან მიხარია, მალკოვიჩი რომ ჩამოვიდა, ვისაც ჰქონდა 250 ლარი, წასულიყო და ეყურებინა. ეს იცით რას ნიშნავს? ვისაც მართლა უყვარს თეატრი და ხელოვნება, იქ ვერ მოხვდება. ისევე, როგორც ჯაზფესტივალზე ვერ დადიან ის ადამიანები, ვისაც ჯაზი მართლა უყვარს. ექსტრაელიტარულია ჯაზფესტივალი და ესეც ასეთია, მაგრამ ასეთი ფასი არც ერთ ფესტივალზე არ ადევს ბილეთებს.

***— ეს რა არის — ქართველების სნობიზმი თუ პროვინციალიზმი?***

— არ ვიცი, ეს რა არის. როგორ 250 ლარადაც არ უნდა გაყიდონ ბილეთი, მალკოვიჩის თანხას და ვერც იმხელა ორკესტრის თანხას ვერ გადაიხდიან. თუმცა ამხელა მილიონიანი ბიუჯეტი აქვთ და... ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გააკეთებს ფესტივალს, მთავარია კეთდებოდესო. მე ასე არ ვთვლი. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანებისთვის შეიძლება ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ როგორი გზით არის დაარსებული ეს ფესტივალი, რამხელა ტკივილი მომაყენეს. როდესაც ამდენ ტკივილთან არის დაკავშირებული და ადამიანების განადგურებასთან, რა ფასი აქვს ამ ფესტივალს? მე ხომ ერთი სიცოცხლე დავამთავრე? იცით, როგორი აგრესიაა? როგორ ვბედავ და ამ ახალ ფესტივალზე, ხელშეუხებელზე ვამბობ, რომ მეწყინა. ყველაზე ცინიკური ის არის, რომ ყვებიან ყველგან, ტელევიზიით აცხადებენ, რომ შემომთავაზეს, შევერთებოდი ამ ფესტივალს. მაგათთან შესაერთებელი რა მჭირდა? მე როგორ უნდა ვიგებდე საფრანგეთიდან ამ ფესტივალის არსებობის შესახებ? ორი წელი დაარსებული რომ ჰქონდათ ფესტივალი და 2008 წლის ომმა შეუშალათ ხელი, მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა? ეკა მაზმიშვილი ასეთი ახლობელი რომ იყო ჩემი... ყველა გაზეთსა და ინტერვიუში ყოველთვის ვიტყვი, სანამ ცოცხალი ვარ — ეგეთი მზაკვრობა, რაც ეკა მაზმიშვილმა გამიკეთა, არავის არაფერი გაუკეთებია. მერე შემომთავაზა, რომ ავტეხე ერთი ამბავი და გავშტერდი?!

***— რა შემოგთავაზეს?***

— რომ თავისი ორმილიონიანი ფესტივალის მერე, ბოლო ერთი კვირა უნდა ყოფილიყო „საჩუქარი“. მე უნდა მეთქვა, მოდით, ახლა უფასოდ ჩამოდით, როგორც აქამდე ჩამოდიოდითო. მომიბრუნდებოდნენ და მეტყოდნენ, ძალიან დიდი ბოდიში, თქვენი ქვეყანა უკვე ისეთ თანხებს იხდის ვარსკვლავებისთვის თუ თეატრებისთვის... 10 წლის წინანდელი სპექტაკლი არ შეიძლება 20 ათასი ღირდეს... მე და ხათუნა წულაძე ვიჯექით ეკას კაბინეტში და ვლაპარაკობდით. პიტერ ბრუკის თეატრიდან რა ფესტივალზეა ლაპარაკი, როდის აპირებთ-მეთქი და აი, სექტემბერშიო. როგორ, იმავე თვეს, იმავე ტერმინში, როცა „გიფტი“ უნდა ყოფილიყო? მერე მომიგზავნეს ვინმე როჯერ მაკკენი.

***— ვინ არის როჯერ მაკკენი?***

— ყოველთვის ვიტყვი, ეს არის კაცი, რომელსაც ძალიან დიდი ფული მიაქვს საქართველოდან. არც ერთ ჩვენს კონსულტანტს ჩვენგან ფული არ წაუღია. სამი წელი ედინბურგის ჯგუფი მუშაობდა გიჟივით აბსოლუტურად უფასოდ. მენეჯმენტს აკეთებდა, პროგრამებს აკეთებდა. ესენი ამას უხდიან და საკმაოდ დიდ ფულსაც. როჯერ მაკკენი არის ერთ-ერთი ექსპერტი, რომელიც გიფტზე რამდენჯერმე იყო ნამყოფი და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩემთან. ის ლევან ხუთაგურის ნაცნობი იყო და მან ჩამოიყვანა საქართველოში. ტელმა ხოლტთან ერთ-ერთ ჩინოვნიკად მუშაობდა ლონდონის ნაციონალურ თეატრში. როცა ტელმა დიდი სკანდალით წავიდა ამ თეატრიდან, ერთადერთი კაცი, ვინც მისი გუნდიდან დარჩა და უღალატა, იყო როჯერ მაკკენი. მერე შექმნა ექსპერტთა საბჭო, დადიან მესამე ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო და აკეთებენ ფულს. დიახ, როჯერ მაკკენი საქართველოზე აკეთებს ფულს. მოვიდა როჯერი და მითხრა, არ გინდა, არ გირჩევ ეკა მაზმიშვილთან დაპირისპირებასო. ჯობია შემოდი ბორდშიო. გავგიჟდი, ახლა მეუბნებით, როცა წელიწადნახევარია ამაზე მუშაობთ? რატომ მთავაზობთ ამ ყველაფერს, იმიტომ, რომ სკანდალის გეშინიათ-მეთქი? მან ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენს ფესტივალს ჰყავს საერთაშორისო დირექტორატი — კამა გინკასი, ანატოლი ვასილევი, ოლეგ ტაბაკოვი, კანჩალოვსკი, ვანესა რედგრეივი, პიტერ ბრუკის წარმომადგენელი ნინა სუფი, ტელმა ხოლტი. ყველა ის ადამიანი, ვინც რობიკოს გამოესარჩლა და მისი მეგობრები არიან. ძალიან ამაყი ვარ, რომ ისინი ჩემი მეგობრებიც არიან. ვიღაცეები ფეისბუკზე უმსგავსოდ წერენ, ნუ ეტმასნებით რობერტ სტურუასო. რა მჭირს რობიკოზე მისატმასნი? მე ჩემი ბიოგრაფია მაქვს, ჩემი ოჯახის ბიოგრაფია მაქვს. თუნდაც ის, რომ 14 თაობა მღვდლები იყვნენ ჩვენს ოჯახში მამაჩემის მხრიდან, ასე რომ, არავისზე მისატმანსი არაფერი მჭირს. უბრალოდ შევახსენე ხალხს ის, რომ რობიკოს უსამართლობაზე ხმა ყველას უნდა ამოეღო. საერთოდ, რობიკოს არავის დაცვა არ სჭირდება, საკუთარი თავი მშვენივრად აქვს დაცული. ვენაცვალე რობიკოს იმაში, რომ მისი წასვლაც უდიდეს მოვლენად, სანახაობად და სპექტაკლად გადააქცია, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა. თქვენ ნახეთ, რა იქნება 23, 24 და 25-ში რუსთაველის თეატრში — შტურმით აიღებენ რუსთაველის თეატრს და ეს იქნება ყველაზე დიდი და ყველაზე ჭკვიანური, რაც გააკეთა რობერტ სტურუამ. პირში წყალი გამოივლოს ყველამ, ვინც ჩემზე ლაპარაკობს. ამას ლაპარაკობენ ის ადამიანები, ვისაც თვითონ საერთოდ არაფერი შეუქმნიათ. ახლა მარტო „ფეისბუქი“ დარჩათ იმისთვის, რომ თავისი პატარ-პატარა წვრილმანი ვნებები დაიკმაყოფილონ.

***— რატომ არ აპროტესტებთ ამ ყველაფერს ტელევიზიით?***

— მე გაჩუმებული არასოდეს ვყოფილვარ, მე ჩემი პროტესტი მაქვს, პროტესტი მქონდა, როცა ტელევიზიებს არბევდნენ. მათ შეუძლიან თქვან, არასოდეს დავპატიჟებ ქეთი დოლიძეს ამა თუ იმ ტელევიზების თოქშოუებშიო და ეს არც მაინტერესებს. ნანუკა ჟორჟოლიანს რამდენი ვინმე ჰყავდა დაპატიჟებული, მაგრამ მე მასთან არ მივალ. განა იმიტომ, რომ პიროვნულად მაქვს მის მიმართ პრეტენზია, უბრალოდ, იმ ტელევიზიაში არ მივალ. არც რუსთავი-2-ში მივალ. როცა დავურეკე და ვუთხარი, რომ ბრიფინგი მაქვს და სახლს მართმევდნენ, ეს ხომ არ იყო საპროტესტო მიტინგი, ეს იყო ბრიფინგი ჩემი სახლის წინ, რატომ არ გამოაგზავნეს ჟურნალისტები? ე.წ. თავისუფალი ტელევიზიები ასე უნდა იქცეოდნენ? შპს-ებია იმედიც და რუსთავი-2-ც.

***— რატომ დარჩით მათი ყურადღების მიღმა?***

— იმიტომ, რომ არ იყო ჩემი თემა მათთვის საინტერესო. მაშინ ამ თოქშოუებში ნუ უჩუყებენ ადამიანებს გულს, როგორი კეთილები არიან, როგორი ქველმოქმედები არიან. არ მჯერა ასეთი ქველმოქმედების და არც იმათი აღსარებების მჯერა, ვინც იმ გადაცემებში მიდის, ვისაც უნდა, იმას ეწყინოს. ეს ჩემი პირადი პროტესტი და პოზიციაა.

***— და მაინც, რატომ გართმევენ ბინას?***

— ზუსტად ვიცი, რომ ეს საქმე სასწრაფო წესით არის ამოქექილი. მე მომხვდა ლევან ხეთაგურის წერილის გამო, იმიტომ, რომ მე გავიზიარე მისი პათოსი. იმ წერილში ლევან ხეთაგური მიმართავდა მსოფლიო სახელოვნებო სფეროს და ეს დაიდო კიდეც ინტერნეტში. მე დამბრალდა ეს ყველაფერი და მომხსნეს სამხატრო ხელმძღვანელის პოსტიდან. დამაბრალეს, ვითომ ვატყობინებდი, არ ჩამოხვიდეთ ამ ფესტივალზე-მეთქი. იგულისხმება თბილისის საერთაშორისო ფესტივალი. ეს არის უზნეობა, უსინდისობა. თქვენ გგონიათ, იმ ჩამოსასვლელი კოლექტივების მისამართებს ვერ ვიპოვიდი? მაშინ მივწერდი სათითაოდ, სად ჩამოდიხართ-მეთქი. ეგეთი რამე ვიკადრე? თურმე როგორ გავბედე ხმის ამოღება, როდესაც შეურაცხყოფა მომაყენეს, ფესტივალი წამართვეს. ეკა მაზმიშვილი ჩემზე მაგარი ექსპერტია? მომეცით იმდენი ფული, ეკა მაზმიშვილს რომ აქვს და მაგათზე ასჯერ უკეთეს ფესტივალს გავაკეთებ.

***— მართლა რომ ეთქვათ, თავის დროზე, დათანხმდებოდით მათთან მუშაობას?***

— სულ ვეუბნებოდი გიგი უგულავას, მოდი ახალგაზრდები შემოვიკრიბოთ, სერიოზულად მივხედოთ, დიდი ბორდი გავაკეთოთ-მეთქი. რასაც ესენი ახლა აკეთებენ, ყველაფერი თავის დროზე ჩემი მიტანილი იყო. ამათ აიღეს ჩემი პროექტი და გადააკეთეს თავის პროექტად.

***— დაისაჯეთ?***

— დიახ. მე 7 ნოემბრის მერე დავისაჯე. ან ეკა მაზმიშვილს დაუძახეს, ან თვითონ მივდნენ და უთხრეს, გაძლევთ ამდენ ფულს და ახლა მოგვაშორეთ ეს ქალი თავიდან, ვაჩვენოთ ერთი თუ არ ვაჯობებთო. თუ ჰგონიათ, რომ მერიიდან ხმა არ გამოდის, ძალიან ცდებიან. გიგის სულ ვებუნებოდი, არ შეიძლება მსახიობებთან დაპირისპირება. არ შეიძლება ნინელი ჭანკვეტაძე, რამაზ იოსელიანი მტრად მოიკიდო. იცით რამდენი ადამიანი გაიხადეს მტრად? ნუთუ მარტო რომ რჩებიან საკუთარ თავთან, არაფრის ეშინიათ? ახლა მათ აქვთ ძალაუფლება და ალბათ ფიქრობენ, სულ არ მაინტერესებს ესენიო. ამდენი უსამართლობის მოთმენა მართლა შეუძლებელია. ხან ჩარეცხილები, ხან ბინების წართმევა... რა გამოდის? თუ ამათთან არ ხარ... არა, როცა ვიყავი მხარდამჭერი, რა ხეირი დამაყარეს? მარტო მე ვიყავი მათი მხარდამჭერი? ზურა ჟვანიამ პირადად შემომთავაზა მისი პარტიის საპატიო დამფუძნებლობა, მაგრამ უარი ვთქვი. პარტიასთან არ მინდოდა ასოცირება, თორემ ზურას და ქვეყანას ვეურთგულე ბოლომდე, როგორც შემეძლო.

***— პრობლემის მაღალ ეშელონებში გადაჭრა არასოდეს გიცდიათ?***

— კი, როგორ არა. როცა მიშა იყო მოქკავშირის ფრაქციის თავმჯდომარე, ერთი საათი ვარჩევდით იმ მარაზმს, რომელიც დამემართა ბინის დაგირავებასთან დაკავშირებით. იცოდა ყველაზე კარგად მიშამ, რომ აბსოლუტურად თაღლითურ გარიგებაში ვარ მოხვედრილი.

***— რატომ გარისკეთ?***

— იმიტომ, რომ აღარ ვიცოდი შემოტევისგან რა მექნა. იცით რატომ გავრისკე? მე მეკისრა პასუხისმგებლობა ფესტივალზე. ჩემი ბინა ჩადო ვინმე გაქსუებულმა კაცმა, თავისი კრედიტი გადაფარა ჩემი ბინით, რაღაც გროშები მოგვიგდო და დანარჩენი ფული ჩემი საშოვნელი იყო. კიდევ იმიტომ ჩავდე ბინა, რომ სახელმწიფო მპირდებოდა ფულს. ისე არ დავიწყებდი ფესტივალს.

***— ბევრი გჭირდებოდათ?***

— გამოყოფილი უნდა ყოფილიყო 100 ათასი ლარი. როგორც თქვენ არ გინახავთ, ისე მე არ მინახავს არაფერი. რომ მოსულიყო ეს თანხა, ჩემი ბინა უკან არ უნდა დამბრუნებოდა? ე.ი. შედგა საშინელი მოლაპარაკება და როგორც იურისტმა თქვა, ეს ბინა დაატრიალეს ქაღალდით აქეთ-იქით. იმ ბანკიდან კაპიკი არ გამომიტანია. 10 წლის შემდეგ, ზუსტად ისევ საკაშვილის კაბინეტში ვისხედით მე, გურანდა გაბუნია, გიგა ლორთქიფანიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. მაშინ სრულიად გულწრფელად იკითხა სააკაშვილმა, როგორ, ეს ჯერ არ გათავებულაო? მიუბრუნდა რურუას და უთხრა, დაამთავრეთ ეს საქმეო. უარს იტყვიან? სამი კაცი მოწმეა. რურუამ შემომთავაზა, ნახევარი ფული გადავიხადოთო. მაშინ ვთქვი, ვის ვუხდით ამ ფულს, ყველა იურისტი ამბობს, რომ ეს საქმე არის მოსაგები. მომაგებინეთ ეს საქმე და ჩამოწერეთ თუნდაც სიძველის გამო-მეთქი. კარგითო, მითხრეს, ჩვენი იურისტი შეხვდება თქვენს იურისტს და გაარკვევს ყველაფერსო. ამით მორჩა ყველაფერი. რატომ არავინ შემომეხმიანა?

***— თქვენ რატომ არ შეეხმიანეთ?***

— შევეხმიანე, აი, ხვალ, აი ზეგო და გავანებე მერე თავი. იმდენად ჩქარაა ეს განჩინება დაწერილი, თავს და ბოლოს ვერ გაუგებ. როცა გამოჩხრიკეს ეს საქმე, გაგვაქვს ბინა აუქციონზეო, მაშინ სასწრაფოდ შევქმენით მამას ფონდი და ოთხმა ადამიანმა გადარიცხა 5-5 ათასი, მთლიანობაში 20 ათასი. ამ განჩინებაში არსად არ ჩანს ეს 20 ათასი. თუ სერიოზული კაცი ხარ და დღეს არ შეთითხნე, 67 ათასს რატომ მიწერ და რატომ არ მიწერ მინუს 20 ათასს? ხომ არის ეს ძველი ფურცელი, რომელიც ახლა ამოქექეს და ციფრიც კი არ შეცვალეს? არ იციან, რომ მთელი ეს გადარიცხვები აღრიცხულია? რისთვის გადაიხადეს ამ ადამიანებმა ეს 20 ათასი, იმისთვის, რომ კარგი ადამიანები არიან. სულ ვამბობ, თუ ოდესმე მოხდა და ჩემი შვილები გამდიდრდნენ, ან მე რამე მეღირსა, ან ფილმი გადავიღე და ფული ვიშოვე, დღემდე დაფიცებული მაქვს, რომ ამ ფულს ყველას უკან დავუბრუნებ. რამე გასაყიდი რომ მქონდეს სახლში, გავყიდიდი.

***— გაქვთ ამ საქმეში გამარჯვების იმედი?***

— ეს არის ყველაზე უზნეო საქმე, რაც კი არსებობს. რომელ სასამართლოს მომაგებინებენ ესენი, სად არის სასამართლო?

# როკ ენ როლის მეფე ნარკოტიკებმა იმსხვერპლა

**ელვის აარონ პრესლი — ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი მომღერალი, მსახიობი. მას ხშირად მოიხსენიებენ როკ-ენ-როლის მეფედ.**

### ბავშვობა და სკოლის წლები

1935 წლის 8 იანვარს ქალაქ ტუპელოში, მისისიპის შტატში, გლედის ლავ სმითისა და ვერნონ ელვის პრესლის ოჯახში დაიბადა. მისი იდენტური ტყუპისცალი ძმა, ჯესი გერონი დაბადებისთანავე გარდაიცვალა. 1941 წელს ელვისი სკოლაში შევიდა. თუმცა ოჯახი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობდა, მშობლები დიდი შრომის ფასად ახერხებდნენ, შვილს გაჭირვება არ ეგრძნო. 10 წლის იყო, როდესაც მონაწილეობა ტუპელოში გამართულ სიმღერის კონკურსში მიიღო. ელვისმა სკამზე შემდგარმა, მიკროფონს რომ მისწვდენოდა, ისე იმღერა ათასობით მაყურებლის წინაშე და მეორე პრიზიც დაიმსახურა, რამაც 5.000 დოლარი და მთელი წლით კარუსელებზე უფასოდ სეირნობის უფლება მოუტანა.

1946 წელს ელვისს დაბადების დღეზე მშობლებმა პირველი გიტარა აჩუქეს, რაშიც 12.95 დოლარი გადაიხადეს. 1948 წელს ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ მემფისში გადავიდა. ტენესის შტატის უმდიდრესმა მუსიკალურმა ტრადიციებმა ნახვისთანავე მოხიბლეს ელვისი — ქანთრი, რითმ ენდ ბლუზი და გოსპელი აყალიბებდა მის მუსიკალურ გემოვნებას. ელვისი ორიგინალური სტილითაც გამოირჩეოდა — ჰქონდა გრძელი თმები და ბაკენბარდები, რასაც მისთვის ხშირად პრობლემებიც შეუქმნია. ერთხელ, ამის გამო მწვრთნელმა ამერიკული ფეხბურთის სკოლის გუნდიდან გარიცხა. მოხდა ისე, რომ სკოლაში სამმა თანასკოლელმაც ძალით დაუპირა თმის შეჭრა, თუმცა ელვისმა მეგობრის დახმარებით შეძლო თავის დაცვა.

სკოლაში ის წყნარი, მორიდებული და ზრდილობიანი ბიჭი იყო. ეკლესიასა და რელიგიას მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. სკოლაში სწავლისას მან კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ტალანტების კონკურსში და თანასკოლელების აღიარებაც მოიპოვა. 1953 წლის 3 ივნისს ელვისმა პირველადი სასწავლებელი დაამთავრა და რამდენიმე სამუშაო ადგილიც მოსინჯა. თუმცა, არც მანამდე ერიდებოდა მუშაობას და პარალელურად, საღამოს სკოლაში სწავლობდა ელექტრიკოსის ხელობას.

### კარიერის დასაწყისი

1953 წლის 18 ივლისს ელვისმა მემფისში, ერთ-ერთ სტუდიაში 4 დოლარი გადაიხადა, რათა მისი სიმღერა ჩაეწერათ, ფირფიტა კი დედას დაბადების დღეზე აჩუქა. სტუდიის მფლობელმა სემ ფილიპსმა უმალ შეამჩნია მისი ნიჭი და მალე საერთაშორისო ასპარეზზე გამოიყვანა. აღსანიშნავია, რომ ფილიპსის ხელში გაუვლია ისეთ ლეგენდარულ მუსიკოსებს, როგორებიც ბი ბი კინგი, ჯერი ლი ლუისი, როი ორბისონი, ჯონი კეში და კარლ პერკინსი არიან. არადა, ფილიპსი პირველი ჩაწერისას სტუდიაში არ ყოფილა.

პრესლიმ 1954 წლის 4 იანვარს ისევ მიაკითხა სტუდიას და ახალი სიმღერა ჩაწერა. სემ ფილიპსი ამჯერად სტუდიაში დახვდა. ის ეძებდა თეთრ მომღერალს შავკანიანის ხმითა და გრძნობით. ამბობდა, რომ ასეთ მომღერალთან ერთად ის მილიარდის შოვნას შეძლებდა. პრესლი კი საამისოდ დიდებული კანდიდატი იყო და ფილიპსმა გარკვეული ფიქრის შემდეგ ელვისს დაურეკა, სტუდიაში მიიწვია და ისიც უმალ იქ გაჩნდა. ეს 1954 წლის 26 ივნისს მოხდა (დამთხვევაა, რომ ელვისის ბოლო კონცერტი 1977 წელს ზუსტად ამ დღეს — 26 ივნისს შედგა). ელვის პრესლიმ რამდენიმე სიმღერა იმღერა და ფილიპსმა ელვისს ადგილობრივი მუსიკოსები — გიტარისტი სკოტი მური და ბას□გიტარისტი ბილ ბლეიკი შეახვედრა. ახლადშექმნილმა ჯგუფმა ერთობლივად რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

ფილიპსმა კი 5 ივლისს მიაგნო, რასაც ეძებდა — ბიჭების სპონტანურად შესრულებულმა სიმღერამ გადააწყვეტინა, რომ ის ეთერში გაეშვა და 19 ივლისს მემფისის მუსიკალური რადიოსადგურით მისი პრეზენტაციაც შედგა. სიმღერა უმალ იქცა საყოველთაო ჰიტად.

პრესლიმ სკოტი მურთან და ბილ ბლეიკთან ერთად გასტროლებიც მალე წამოიწყო. ისინი სამხრეთი შტატების პატარა კლუბებში გამოდიოდნენ. ახალგაზრდები მალე შეამჩნია ქანთრის ვარსკვლავმა ჰენკ სნოუმ და ისინი ნეშვილში გრენდ ოლ ოპრიში, შაბათის შოუში გამოსასვლელად მიიწვია. გამოსვლა ურიგო არ იყო და პრესლიმ მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. ერთადერთი პიროვნება გრენდ ოლ ოპრის ერთ-ერთი გავლენიანი მენეჯერი ჯიმ დენისი აღმოჩნდა, რომელსაც მისი შესრულებული



არ მოეწონა და ელვისს ურჩია, სიმღერისთვის თავი დაენებებინა და მძღოლობას დაბრუნებოდა. ეს 1954 წლის 2 ოქტომბერს მოხდა. ამან ელვისი მეტად გულდაწყვეტილი და ნაწყენი დატოვა, მაგრამ სულ მალე, 16 ოქტომბერს ის გრანდ ოლ ოპრის მთავარ კონკურენტ შოუში „ლუიზიანა ჰეირაიდში“ წარმატებით გამოვიდა ორი სიმღერით, რომელიც ამერიკაში 190 რადიოსადგურით 30 შტატში გადაიცემოდა.

4 ნოემბერს ელვისმა „ლუიზიანა ჰეირაიდთან“ ხელი ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა, რომლის თანახმად ის ერთი წლის მანძილზე შოუში „შაბათობით“ უნდა გასულიყო. მართალია, ანაზღაურება მხოლოდ 30 დოლარს შეადგენდა გამოსვლისთვის, მაგრამ ეს კონტრაქტი ელვისის კარიერისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა, რადგან მან მუდმივი სამუშაო იშოვა. პარალელურად მუსიკოსი უდიდეს გამოცდილებას იღებდა და საკუთარ სტილსაც საბოლოოდ ხვეწდა. ამასთან მან გრანდ ოლ ოპრიში შელახული საკუთარი თავის რწმენაც აღიდგინა. თავისუფალ დღეებში კი, ელვისი კონცერტებს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ შტატების სკოლის შენობებსა და ღამის კლუბებში მართავდა.

პარალელურად ელვისმა სტუდია სან რეკორდში კიდევ სამი სინგლი გამოუშვა, რამაც დიდი პოპულარობა მოუტანა და 1955 წლის აგვისტოში ელვისმა კონცერტები მშობლიურ ტუპელოშიც ჩაატარა. 1955 წელს „ჰეირაიდის“ შოუში თვით ჯონი კეშიც კი მონაწილეობდა.

მალე ელვისის ჯგუფს დასარტყმელ ინსტრუმენტებზე დი ჯეი ფონტანა შემოემატა, რის შემდეგ ელვისმა ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ლუიზიანა ჰეირაიდთან“. რაოდენ სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მისი ანაზღაურება უკვე 200 დოლარამდე გაიზარდა.

პრესლის სწრაფად მზარდი პოპულარობისთვის რეგიონალური ასპარეზი აღარ კმაროდა. ეს კარგად გააცნობიერა ტომ პარკერმა და 1955 წლის 18 აგვისტოს ის ელვისის მენეჯერი გახდა. გაფორმდა კონტრაქტიც და პარკერმა დაიწყო ელვისის ნაციონალურ ვარსკვლავად ქცევა — ნოემბერშივე დაარწმუნა უმსხვილესი ხმის ჩამწერი სტუდია რცა 35.000 დოლარად (იმ დროისთვის არნახული თანხა) გამოესყიდა ელვისის კონტრაქტი სემ ფილიპსისგან. 21 ნოემბერს პრესლიმ გააფორმა ხელშეკრულება რცა-სთან. პარკერი უცვლელ მენეჯერად დარჩა ელვისის სიცოცხლის ბოლომდე. პრესლის და პარკერის დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემაზე იყო დაფუძნებული. პარკერი ყოველთვის ახერხებდა ელვისისთვის უმაღლესი ჰონორარები გამოეთხოვა. ის ასევე სწორად წარმართავდა ელვისის სარეკლამო კომპანიას მედიაში. პარკერმა შეძლო ელვისის შესაძლებლობების სრულად ამოქმედება და პირველმა დიდმა წარმატებამაც არ დაიგვიანა.

### 1956-1958 წლები

1956 წლის 10-11 იანვარს ელვისმა პირველი ჩაწერა გააკეთა რცას სტუდიაში, სადაც მას აკომპანიმენტს უწევდა კვარტეტი ჯორდანაირესი, რომელთანაც 60-იანი წლების ბოლომდე თანამშრომლობდა. ჩაწერა რამდენიმე სიმღერა და სკოტი მურთან, ბილ ბლეიკთან და დი ჯეი ფონტანასთან ერთად ჩაწერაში ცნობილი გიტარისტი ჩეტ ეტკინსიც მონაწილეობდა. მათი შემოქმედება 27 იანვარს სინგლად გამოისცა და 3 კვირაში 300.000 ცალზე მეტი, მალე კი მილიონზე მეტი გაიყიდა. სინგლს ჟურნალ "ბილბორდის" ჰიტ□აღლუმში 8 კვირა პირველი ადგილი ეკავა. ეს იყო ელვისის პირველი ოქროს ფირფიტა.

28 იანვარს პრესლი პირველად გამოვიდა ტელევიზიით — ცბე-ის გადაცემაში "სტეიჯ შოუ", სადაც შეასრულა სამი როკენროლი. მისმა გამოსვლამ მაყურებელთა დიდი აღტაცება და გადაცემის რეიტინგის ამაღლება გამოიწვია, რის შედეგად 4 თებერვალს იმავე შოუში ელვისმა მეორედ მიიღო მონაწილეობა და ორი ცეცხლოვანი როკენროლიც შეასრულა.

ამას კიდევ 4 გამოსვლა მოჰყვა — 11 თებერვალს, 18 თებერვალს, 17 მარტს და ბოლოს, 24 მარტს. დაგვერწმუნეთ, ასე მოკლე ვადაში მუსიკოსისთვის ამხელა პრივილეგიის მინიჭება ძალიან დიდია და ამ 6 შოუს შემდეგ ელვისი მთელმა ამერიკამ გაიცნო. ამიერიდან ის როკენროლის მეფედ აღიარეს და დღემდე, გარდაცვალებიდან თითქმის 35 წლის შემდეგაც, უცილობელ მეფედ ითვლება.

ამასობაში, სან რეკორდსში მისი რიგით მეხუთე და უკანასკნელი



სინგლი გამოიცა, რომელიც ნაციონალურ ჰიტებში — ქანთრის ნომინაცია პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ეს იყო მისი პირველი ეროვნული ადგილი. 13 მარტს რცა-მ გამოსცა პირველი ალბომი — ელვისის ალბომი, რომელიც მალე მილიონი ცალი ფირფიტა გაიყიდა. ეს იყო ელვისის პირველი ოქროს ალბომი. 10 კვირა ფირფიტას ლიდერობა არ დაუთმია. ამავდროულად, ეს აღმოჩნდა როკენროლის პირველი ალბომი, რომელიც პირველ ადგილზე გავიდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით. პარალელურად ელვისი კონცერტებს მართავდა მთელი ამერიკის კონტინენტზე.

იმავე წლის 3 აპრილს მილტონ ბერლის შოუში ელვისმა ახალი კომპოზიცია შეასრულა, რის შემდეგ ელვისი და მისი მენეჯერი ჰოლივუდითაც დაინტერესდნენ. 1956 წლის 6 აპრილს პრესლიმ ცნობილ პროდიუსერ ჰოლ უოლისთან და კინოკომპანია "პარამაუნტ ფიქჩერსთან" ხელი შვიდწლიან კონტრაქტს მოაწერა. ჰოლივუდი პრესლისთვის ბავშვობიდანვე საოცნებო სამყარო იყო. ახლა კი ის ამ სამყაროს მთავარი გმირი ხდებოდა, სადაც ყველა ვარსკვლავს დაჩრდილავდა. მისი ფილმების უკლებლივ ყველა რეჟისორი აღნიშნავდა ელვისის უდიდეს შრომისმოყვარეობასა და ზედმიწევნით თავაზიანობას.

23 აპრილიდან 6 მაისამდე ელვისი ლას ვეგასში კონცერტებს სასტუმრო „ნიუ ფრონტიერში“ მართავდა. ეს მისი პირველი ტურნე იყო ამ ქალაქში. მალე პრესლი და ლას ვეგასი განუყრელი ცნებები გახდა. 5 ივნისს ელვისმა მილტონ ბერლის შოუში კვლავ იმღერა და როკენროლის ერთ-ერთი ილეთის შესრულების დროს ელვისის ცეკვამ და მოძრაობებმა ახალგაზრდობის აღტაცება გამოიწვია, მაგრამ უფროსი თაობისა და პრესისთვის ის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მათი აზრით, ახალგაზრდობის მორალზე უარყოფით გავლენას ახდენდა. თავად ელვისი ყოველთვის აცხადებდა, რომ ეს იყო მისი ბუნებრივი მოძრაობები და სიმღერის დროს შეჩერება არ შეეძლო. ნათქვამია, თუ ადამიანს როკენროლი უყვარს და მას გრძნობს, შეუძლებელია მისი მოსმენის დროს არ იმოძრაოსო. ელვისის აზრით კი, სცენაზე გამოსვლისას ყველაზე მიმზიდველი მაყურებელთან კონტაქტით წარმოქმნილი მუხტია და მისთვის ეს უმთავრესი მოვლენა იყო. ამის მიუხედავად, მის გამოსვლას პრესა ძალიან უარყოფითად შეხვდა, ნიუ იორკის გაზეთებმა უაღრესად უნიჭო და ვულგარული უწოდეს. მეტიც, მისი სიმღერის უნარი საერთოდ ეჭვქვეშ დააყენეს. პრესლიმ კი ამასობაში თავის ტურნე ჯერ კალიფორნიაში, შემდგომ კი ჯორჯიასა და ჩრდილოეთსა და სამხრეთ კაროლინის შტატებში განაგრძო. ელვისი დაულალავად მუშაობდა — სამ დღეში 10 კონცერტი გამართა ატლანტაში. 1 ივლისს ელვისმა მონაწილეობა მიიღო ნიუ იორკში სტივ ალენის სატელევიზიო შოუში, სადაც იგივე ილეთი უნდა შეესრულებინა, რამაც პრესის გულისწყრომა გამოიწვია. ამ გამოსვლის ძირითადი მიზანი იყო, ის მრავალრიცხოვანი ნეგატიური განცხადებები გაექარწყლებინა, რაც მილტონ ბერლის შოუმ გამოიწვია. წინა შოუსგან განსხვავებით, ელვისს ეცვა სმოკინგი, გამოიყურებოდა რესპექტაბელურად და უფროსი თაობისთვის მისაღებად, თუმცა, როგორც თავად იხუმრა, ყველაფერი მაინც არ ეცვა წესის თანახმად — სცენაზე ლურჯი ნატის ფეხსაცმელებით გამოვიდა, რაც ასოციაციას ქმნიდა მის სიმღერასთან.

სიმღერის დროს დამახასიათებელი მოძრაობები არ შეუსრულებია და უმღეროდა ტაქსას ჯიშის ძაღლს, რომელსაც ცილინდრი დაახურეს. ამ გამოსვლას პრესლი მომავალშიც არაერთხელ იხსენებდა ხალისით, თუმცა ამბობდა, მოძრაობები ამიკრძალეს და მხოლოდ ნეკა თითის განძრევის საშუალება მომცესო.

ელვისმა ამერიკის არმიაში სამსახურიც მოასწრო. მის სავალდებულო სამსახურს მთელ ამერიკაში საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. თავდაცვის მინისტრსა და ქვეყნის პრეზიდენტს უამრავი წერილი მიუვიდათ, რომ პრესლისთვის შეღავათი გაეწიათ. მოსახლეობის აზრით, ეს არმიის რეპუტაციას კიდევ უფრო აამაღლებდა. თუმცა ეს თხოვნა გათვალისწინებული არ იქნა და პრესლისაც გარკვეული დრო გერმანიაში დისლოცირებულ ამერიკის არმიაში მოუწია.

### პირადი ცხოვრება

მისი გოგონას დაბადების შემდეგ, ელვისის მეუღლემ პირველად ისაუბრა ჟურნალისტებთან ოჯახურ მძიმე საკითხებზე. ცხადია, ამის შემდეგ მათი ქორწინება დიდხანს არ გაგრძელებულა და წყვილი 1972 წელს გაიყარა. გოგონას, ლიზა მარის კი ელვისი ხშირად ხედავდა და თვეში ერთი კვირის მანძილზე მასთან იმყოფებოდა სახლში. პრისცილამ კი ქმრის გვარი შეინარჩუნა, რადგან საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამის წყალობით მოდის სამყაროში თამამად შეაბიჯა. თავად ელვისს მეუღლის მიმართ ყოველგვარი ინტერესი ჰქონდა დაკარგული, თუმცა დამნაშავედ ყოველთვის საკუთარ თავს მიიჩნევდა.

მალევე ელვისს ახალი მეგობარი გოგონა გამოუჩნდა — ლინდა ტომპსონი, რომელთანაც 1976 წლამდე იმყოფებოდა, რის შემდეგ სიკვდილამდე ჯინჯერ ოლდენის ერთგული დარჩა, მაგრამ ამ ერთგულებამ მხოლოდ წელიწადი გასტანა. მიზეზი კი...

### ელვისის გარდაცვალება

1977 წლის 16 აგვისტოს ელვისი მისი პირადი კბილის ექიმისგან შინ გვიან დაბრუნდა. სახლში მისულმა ოლდენთან მის მომავალ გეგმებზე და გასტროლებზე ისაუბრა. პრესლიმ დილით დამაწყნარებელი პრეპარატები მიიღო, რომელმაც მისი აზრით არ იმოქმედა და ერთი საათის შემდეგ დოზა გაზარდა. როგორც აღმოჩნდა, ეს მისთვის ტრაგიკული გამოდგა.

ოლდენმა ელვისი საკუთარ ბუდუარში გონწასული აღმოაჩინა. სასწრაფოდ გამოიძახა სამედიცინო დახმარება — ელვისი რეანიმაციაში იქნა გადაყვანილი, მაგრამ მედიკოსთა ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

იმავე დღეს, 4 საათზე მთელმა ამერიკამ შეიტყო მისი გარდაცვალების შესახებ — მიზეზად გულის არაქმედითუნარიანობა იქნა დასახელებული. ექიმთა აზრით, ამის მიზეზი არა გამაყუჩებლები, არამედ ნარკოტიკების გადაჭარბებული მიღება იყო.

ასე გამოემშვიდობა როკენროლის მეფე ამქვეყნიურ ცხოვრებას. იგი 18 აგვისტოს გრეისლენდში დაკრძალეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ოთარ ხიზანეიშვილს ბუნდესლიგაში თამაში ურჩევნია

საქართველოს, რუსეთის ჩემპიონატსა და გერმანიის ბუნდესლიგაში გატარებული სეზონების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდის ყოფილი მცველი ოთარ ხიზანეიშვილი ზაფხულში ყაზახეთის პრემიერლიგის აუტსაიდერ „ვოსტოკში“ აღმოჩნდა. ეს ფაქტი იქაური ჟურნალისტებისთვისაც კი გასაკვირი იყო და ხიზანეიშვილთან ინტერვიუ ამ თემით დაიწყო.

29 წლის მცველმა, რომელიც ბოლო წლებში ქართული მასმედიისთვის რატომღაც მოუხელთებელი იყო, არა მხოლოდ ამ თემაზე, არამედ, მის განვლილ კარიერაზე ვრცლად ისაუბრა.

***— საერთოდ, როგორ მოხდა, რომ ისეთი ცნობილი ფეხბურთელი, როგორიც ხიზანეიშვილია, რომელსაც მოსკოვის „სპარტაკში“, როსტოვის „როსტსელმაშში“, მოსკოვის „დინამოში“, მახაჩყალის „ანჟისა“ და გერმანულ კლუბებში უთამაშია, ფეხბურთისთვის უცხო ქვეყანაში, ყაზახეთში და ამასთან პრემიერლიგის აუტსაიდერის რიგებში აღმოჩნდა?***

— შარშან „ანჟიდან“ იმიტომ წავედი, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები შეექმნა. მით უმეტეს, ერთ-ერთი რუსული გუნდიდან კონკრეტული წინადადება მქონდა — მისმა მენეჯერმა სეზონის ბოლოს დამირეკა და ყველაფერი ამიხსნა. საახალწლოდ გერმანიაში ოჯახთან ჩავედი და შეთანხმების პირობით, დღესასწაულების მერე, მოსკოვში უნდა დავბრუნებულიყავი და ამ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შეკრებაზე გავყოლოდი. საბოლოოდ არაფერი გამოვიდა — მენეჯერმა ისევ დამირეკა და მითხრა, რომ კლუბს დაფინანსებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნა. მოკლედ, მან დამაღალატა. ახლა ამის თქმა უკვე დანამდვილებით შემიძლია. არადა, ეს ადამიანი 9 წლის წინ გავიცანი, როდესაც მოსკოვის „სპარტაკში“ ოლეგ რომანცევის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი. ისე გამოვიდა, რომ ნახევარი წლის განმავლობაში უგუნდოდ ვიყავი, რადგან დანარჩენი გუნდები შეკრებაზე იყვნენ წასული და ლეგიონერებიც მიწვეული ჰყავდა. სხვადასხვა გუნდები სინჯებზე კი მიწვევდნენ, მაგრამ ასეთი პირობა ჩემთვის მიუღებელი იყო. დროის დაკარგვა კი არ მინდოდა და მაშინვე კონტრაქტის გაფორმება მსურდა. ზაფხულში კონკრეტული ვარიანტი გამოჩნდა „ვოსტოკის“ სახით და დიდხანს არ მიფიქრია. მომავალში რა იქნება, არავინ იცის. კლუბთან კონტრაქტი დეკემბრამდე მაქვს და მას ბოლომდე მივყვები. შემდეგ გადავწყვეტ, რას გავაკეთებ. ახლა მხოლოდ იმის შესახებ ვფიქრობ, რომ „ვოსტოკს“ ყაზახეთის პრემიერლიგაში დარჩენაში დავეხმარო.

***— რამდენიმეთვიანი უქმობის დროს სათამაშო ფორმას როგორ ინარჩუნებდით?***

— ყოველდღე სახლთან ახლოს ტყეში კროსებს დავრბოდი და ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ზოგჯერ მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი. სათამაშო ფორმას „აუგსბურგის“ დუბლებშიც ვინარჩუნებდი. კვირაში მხოლოდ ერთი დღე ვისვენებდი. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად მიჭირდა, რადგან უგუნდოდ დავრჩი. ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი. ის, რომ ახალ გუნდთთან შეგუება არ გამჭირვებია, ინდივიდუალური მომზადების დამსახურებაა.

***— ვიდრე ზაფხულში „ვოსტოკში“ გადახვიდოდით, ზამთარში კარიერის ასტანის „ლოკომოტივში“ გაგრძელების შანსი გქონდათ. ეს ვარიანტი რატომ არ გამოვიდა?***

— „ლოკომოტივთან“ ერთად შეკრებაზე თურქეთშიც ვიყავი, მაგრამ ჩემთვის რთული ასახსნელია, ეს ტრანსფერი რატომ არ შედგა. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჰოლგერ ფახმა ამიხსნა, რომლის ხელმძღვანელობითაც „აუგსბურგში“ ვთამაშობდი, „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ უცხოელ ფეხბურთელს ყახაზური პასპორტი არ მისცეს და ჩემი გადასვლით გუნდში ლეგიონერების ლიმიტი ირღვეოდა. ასტანელებმა ის მოთამაშე აირჩიეს, ხოლო მე გერმანიაში დაბრუნება მომიწია. მოგვიანებით ფახმა ბოდიში მომიხადა და მითხრა, რომ თავის გუნდში ჩემი ხილვა ძალიან სურდა.

***— „ვოსტოკში“ რამდენიმე მატჩი უკვე ჩაატარეთ. ეს საკმარისია, რომ ყაზახური ფეხბურთის თაობაზე საკუთარი აზრი შეგქმნოდათ?***

— ყაზახეთი საფეხბურთო დონით რუსეთს ჩამორჩება. არაფერს ვამბობ გერმანიაზე. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ აქ თამაში იოლია. თითოეულ მატჩში ბევრი ბრძოლაა და კარგი ფეხბურთელებიც საკმაოდ არიან. ვფიქრობ, ყაზახეთში ფეხბურთის დონე კიდევ აიწევს. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურის მხრივ ყაზახეთი ძალიან ჩამორჩენილია, მაგრამ ამავე დროს არასწორი იქნება იმის თქმა, რომ აქ ფეხბურთის თამაში არ შეიძლება. ყველგან ნორმალური მოედანია, მაგრამ მათ კარგს ვერ დავარქმევ. ერთადერთი გამონაკლისია ალმათი. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ვოსტოკი“ მეორე ექვსეულში თამაშობს და წამყვანი გუნდების სტადიონები არ მინახავს.

***— ყაზახი ხალხი ყოველთვის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ეს საკუთარ თავზე რაიმე ფორმით გამოცადე?***

— უდავოდ. ხალხი და მათი კეთილგანწყობა მომეწონა. თუმცა, უკვე დიდი ხანია ვიცი, რომ ყაზახები თბილი და კარგი ხალხია, რადგან „როსტსელმაშში“ ჩემი თანაკლუბელები სამატ სმაკოვი და რაფაელ ურაზბახტინი იყვნენ. სხვათა შორის, როდესაც „ვოსტოკის“ გასახდელში ურაზბახტინი დავინახე, სასიამოვნოდ გავოცდი. ერთმანეთს გადავეხვიეთ, ვისაუბრეთ.

***— გუნდში ატმოსფეროს ხელფასის დაგვიანება არ აფუჭებს?***

— ჩვენ პროფესიონალები ვართ და პრობლემებმა ყურადღება არ უნდა გაგვიფანტოს. მართლია, ხელფასს აგვიანებდნენ, მაგრამ იმედია, სიტუაცია გამოსწორდება. მსგავსი რამ რუსეთშიც ხდება.

***— თუმცა, არა გერმანიაში?***

— რა თქმა უნდა. იქ მსგავსი რამ დაუშვებელია. პირიქით, წინასწარ გიხდიან.

***— ქვედა ლიგებშიც?***

— მეორე ბუნდესლიგის ქვემოთ არ მითამაშია.

***— საინტერესო წარსულის ნოსტალგია არ გიპყრობთ? „სპარტაკი“, „დინამო“, გერმანული ცხოვრება არ გენატრებათ? ცივილიზაცია, ძლიერი ჩემპიონატები?***

— ცხადია, ბუნდესლიგაში თამაში მირჩევნია. თუნდაც, იგივე „ფრაიბურგში“. იმ დროს ძალიან კარგად ვიხსენებ. თუმცა, ასეთია საფეხბურთო ცხოვრება. რადგან ახლა „ვოსტოკში“ ვთამაშობ, გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში უნდა დავეხმარო.

***— გული არ გწყდებათ, რომ თქვენი წასვლის შემდეგ, „ანჟი“ ვარსკვლავთა თავშესაყარი ხდება?***




— არავითარ შემთხვევაში. ჩემი წასვლის მიზეზებზე უკვე ვისაუბრე. იმ პერიოდში არავინ იცოდა, რომ კლუბში ამხელა ფული გაჩნდებოდა. არადა მაშინ, სეზონის დასრულების შემდეგ კლუბს სამი თვის ხელფასი ჰქონდა დასარიგებელი, პრემიალური თანხაც არ გადაგვიხადეს.

***— გაჯი გაჯიევის თაობაზე რის თქმა შეგიძლიათ?***

— კარგი მწვრთნელია. ვფიქრობ, ასეთი მრავალმილიონიანი ინვესტიციებით და ასეთი სპეციალისტით, როგორიც გაჯიევია, „ანჟი“ ევროპაში ბრძოლისუნარიანი კოლექტივი გახდება. პირადად მე ამის მჯერა.

***— მიუხედავად ამისა, ეთანხმებით მოსაზრებას, რომ სამუელ ეტოომ □ინტერიდან□ მახაჩყალაში გადასვლით თავის საფეხბურთო კარიერას ჯვარი დაუსვა?***

— სავსებით გეთანხმებით. „ინტერიდან“ „ანჟიში“ გადასვლით ეტოომ პროფესიონალი სპორტსმენის კარიერას ჯვარი დაუსვა. თუმცა, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თითოეული ადამიანი საკუთარი ბედის მჭედელი თვითონ არის.

***— თავის დროზე მოსკოვის „სპარტაკში“ ფეხი რატომ ვერ მოიკიდეთ? არადა, გუნდთან ერთად რუსეთის ჩემპიონი გახდით და იმავე რომანცევს თქვენი დიდი იმედი ჰქონდა...***

— ეს დრო მეც მახსოვს. მაშინ 18 წლის, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ალბათ, ამის გამო „გადავიწვი“. მორიდებული ვიყავი, რადგან არც რუსული ვიცოდი და არც პარტნიორებს ვიცნობდი. საკუთარი პოტენციალის გამოვლენა ვერ მოვახერხე. გარდა ამისა, სიმართლე გითხრათ, მხარდაჭერას არც მოსკოველებისგან ვგრძნობდი. იქნებ, ასე იმიტომ მოხდა, რომ მოსკოვში თბილისიდან ჩავედი? არ ვიცი.

***— გერმანიაში გატარებული ცხოვრების პერიოდიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ? „ფრაიბურგსა“ და „აუგსბურგში“ თქვენს გამოსვლას როგორ შეაფასებდით?***

— „ფრაიბურგში“, სადაც მოსკოვის „დინამოდან“ გადავედი, კარიერა კარგად დავიწყე. გუნდის სამწვრთნელო შტაბის თქმით, ყველა შეხვედრა საუცხოოდ ჩავატარე. პირველი ბუნდესლიგის მეცხრე ტურის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს და თურქეთთან შეხვედრის დროს ძალიან სერიოზული ტრავმა მივიღე — მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები გამიწყდა. ამის გამო ერთი წელიწადი ვერ ვთამაშობდი. თუმცა, სათამაშო ფორმა მაინც აღვიდგინე და „ფრაიბურგში“ ადრინდელი ჟინით ავთამაშდი. სწორედ ამ კლუბში გავატარე ჩემი კარიერის საუკეთესო წლები. „აუგსბურგში“ მხოლოდ 7 შეხვედრა ჩავატარე, რადგან მარჯვენა მუხლის ტრავმა მივიღე. რაც შეეხება ფეხბურთს მიღმა ჩემს გერმანულ ცხოვრებას... რთული ასახსნელია. ქვეყანა მომეწონა და იქ ცხოვრება საინტერესოა. სხვანაირად კვება დავიწყე — ისე, როგორც წესია. საქართველოში ხომ დილაუთენია ხინკალი შეიძლება ჭამო, რაც გერმანიაში დაუშვებელია. იქ საუზმე ნატურალური წვენისგან და იოლად მოსანელებელი ნამცხვრისგან შედგება. თუმცა, სახლი მაინც ძალიან მენატრებოდა. საქართველოს ვალმერთებ და ადრე თუ გვიან იქ დავბრუნდები.

***— ახლა საქართველოში იმიტომ არ ბრუნდებით, რომ იქ ცხოვრება უსაფრთხო არ არის?***

— ჩემი უფროსი გოგო გერმანიაში სკოლაში დადის, ხოლო უმცროსი — საბავშვო ბაღში. მათ იქ მოსწონთ და ამ ქვეყანაში ცხოვრებას მიეჩვივნენ. არასწორი იქნება, თუ მეუღლესთან ერთად სამშობლოში წავიყვან. სიმართლე გითხრათ, მსურს, რომ ისინი საქართველოში გაიზარდონ და ქართული იცოდნენ. როდესაც ველაპარაკები, ჩემი ესმით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ ქვეყანას შიგნიდან იცნობდნენ — წეს-ჩვეულებებს, ქართველი ხალხის მენტალიტეტს. მინდა, რომ ისინი ნამდვილი ქართველები იყვნენ. შორეულ მომავალში საქართველოში მაინც დავბრუნდებით.

***— ოჯახი გერმანიაში გყავთ, ხოლო თქვენ ყაზახეთში ხართ. ამბობთ, რომ „ვოსტოკში“ თამაშს ბუნდესლიგაში თქვენს საყვარელ „ფრაიბურგში“ გამოსვლა გირჩევნიათ. მაშინ, რატომ დატოვეთ ქვეყანა, სადაც სახელი დაიგდეთ და როგორც პროფესიონალი ჩამოყალიბდით?***

— ახლა აგიხსნით. როდესაც ომი იწყება, არაფერზე ფიქრობ საკუთარი ქვეყნისა და ახლობლების გარდა. როდესაც „აუგსბურგში“ გადავედი, ცუდად ვიყავი, თავს ვერ ვაკონტროლებდი და კონცენტრაციას ვერ ვახერხებდი. ვარჯიშებზე გადაღლილი მივდიოდი. თავში მხოლოდ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ომი მიტრიალებდა. კლუბში ვუხსნიდი, რა მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ჩემი არ ესმოდათ. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ოჯახი საქართველოდან ჩემთან ვერ ჩამომყავდა, რადგან ავიამიმოსვლა შეწყდა. ის დღეები ჩემთვის საშინელებად იქცა. როდესაც სამხრეთ ოსეთში ვითარება მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, გონს მოვეგე და ვარჯიში დავიწყე. სათამაშო ფორმა აღვიდგინე, მაგრამ საუბედუროდ, მეორე მუხლის ტრავმა მივიღე. გერმანიაში კი, ყველამ ყველაფერი იცის □ სად თამაშობდი, რა სახის ტრავმები გქონდა, რამდენი მატჩი ჩაატარე. ამიტომ, ამის შემდეგ სერიოზული წინადადებით არავის მოუმართავს. შედეგად, „ანჟიში“ წასვლა გადავწყვიტე.

***— მახაჩყალაში თამაშის დროს რუსეთის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისგან ნეგატიური დამოკიდებულება არ გიგრძვნიათ?***

— საფეხბურთო ცხოვრებაში მსგავში არაფერი ყოფილა, მაგრამ მოედნის მიღმა ერთი შემთხვევა მაინც მოხდა. მოსკოვის გავლით მახაჩყალაში მივფრინავდი და საბაჟოზე ერთმა ახალგაზრდა კაცმა ჩემი პასპორტი აიღო და ხელში დიდხანს ატრიალა. სახეში მიყურებდა და უცებ მოურიდებლად მკითხა: „ქართველი ხარ?“ ეს რა კითხვაა? პასპორტში ხომ ჩემი ეროვნება ისედაც მითითებული იყო. რა საჭიროა იმის კითხვა, თუ რა ეროვნების ვარ?

***— „ფრაიბურგსა“ და „აუგსბურგში“ თქვენი ყოფილი თანაგუნდელებიდან დღესდღეობით გერმანიაში კარგ დონეზე ვინ თამაშობს?***

— რამდენიმე ბიჭია, რომლებიც კარგ გუნდებში თამაშობენ. დენის აოგო, რომელიც „ჰამბურგსა“ და გერმანიის ეროვნულ ნაკრებში გამოდის, საშა რიტერი, რომელიც ზაფხულში „ვოლფსბურგიდან“ „კიოლნში“ გადავიდა, ლევერკუზენის „ბაიერის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი დანიელ შვაბი, ასევე, ჩემი მეგობრები ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი. თავის დროზე, „ფრაიბურგში“ რომ მიმიწვიეს, ამაში მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

***— ხიზანეიშვილს ეროვნული ნაკრების მაისური 20-ჯერ მოურგია. გაგრძელება იქნება? ლოგიკურია, ნაკრებში რომ აღარ გიწვევენ?***

— რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, რომ ნაკრებში აღარ მიძახებენ. თუმცა, იმის შემდეგ, რაც მე გადავიტანე — „ფრაიბურგსა“ და „აუგსბურგში“ მიღებული ტრავმები, „ანჟიდან“ წასვლა, დროებით უქმობა, ყოველივე ამან ქეცბაიას გადაწყვეტილებაზე იმოქმედა. თემურს ვიცნობ. ის ძალიან კარგი ადამიანი და ჩემი მეგობარია. არავითარი უფლება არ მაქვს, მასზე ნაწყენი ვიყო. დამნაშავე თავად ვარ. ისღა დამრჩენია, რომ საკუთარ თავზე ვიმუშაო, რათა ნაკრებში დავბრუნდე.

***— ყაზახეთის ჩემპიონატში „ვოსტოკის“ რიგებში თამაშით ამას ნაკლებად თუ მოახერხებთ. ეს თქვენც კარგად იცით.***

— შესაძლოა, მართალიც ხართ, რადგან ყაზახურ ფეხბურთს არც რუსეთში აჩვენებენ და არც საქართველოში. ყველა ფიქრობს, რომ აქ ძალიან სუსტი ჩემპიონატია. თავად მაოცებს ის ფაქტი, რომ ყაზახეთის პრემიერლიგის თამაშებს ადგილობრივი ტელევიზიით არ გადასცემენ. ხომ არის შესაძლებლობა, რომ აირჩიონ ძლიერი გუნდების შეხვედრები და აჩვენონ, რათა ხალხმა იცოდეს, ვინ როგორ თამაშობს — ჩემპიონატი წინ მიდის თუ დონე ეცემა. ვფიქრობ, ამის გაკეთება აუცილებელია.

***— რომელი ჯილდო იყო თქვენს კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელი?***

— ბევრი ტიტული არ მომიგია. ალბათ, გამოვარჩევდი მოსკოვის „სპარტაკთან“ ერთად რუსეთის ჩემპიონატის მოგებას და მშობლიურ თბილისის „დინამოში“ მოპოვებულ ორ საჩემპიონო ტიტულს.

***— წარსულის შეცვლის შესაძლებლობა რომ გქონდეთ, პირველ ყოვლისა რას გააკეთებდით?***

— ბევრ რამეს გავაკეთებდი სხვაგვარად, რადგან თავის დროზე ბევრი შეცდომა დავუშვი. ზოგიერთ ადამიანს ზედმეტად ვენდობოდი.

***— რას გააკეთებთ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ?***

— ჯერ არ ვიცი, შესაძლოა, ფეხბურთში დავრჩე.

***— მსოფლიო ფეხბურთში რომელ გუნდებს გულშემატკივრობთ? ვინ არის თქვენი კერპი და რომელი ფეხბურთელი მოგწონდათ ბავშვობაში?***

— ჩემი უსაყვარლესი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედია“. მთელი ცხოვრება ამ უდიდესი გუნდის მაისურის მორგებაზე ვოცნებობდი. ჩემი კერპი ლიონელ მესია. ვფიქრობ, დედამიწას მსგავსი ფეხბურთელი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ მოევლინება. ბავშვობაში ძალიან მომწონდა ქართველი მცველი მურთაზ შელია.

***— ფეხბურთელის გზა თავად აირჩიეთ თუ მისკენ ვინმემ გიბიძგათ?***

— არა, ფეხბურთელობა თავად გადავწყვიტე, რადგან ვაცნობიერებდი, რომ მხოლოდ ბურთის წყალობით შეეძლო ჩემს ოჯახს იმ სიღარიბისთვის თავის დაღწევა, რომელშიც გავიზარდე.

***— თავიდანვე მცველობა გსურდათ?***

— დიახ.

***— კარიერაში ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?***

— ახლა დავასახელებ შეხვედრას, მაგრამ, თუ შეიძლება, მასში პოლიტიკური მომენტის ძებნა არ დაიწყოთ. ის უბრალოდ არ არსებობს, რადგან ომი ომია, ხოლო ფეხბურთი ფეხბურთია. უბრალოდ, არასოდეს დამავიწყდება დღე, როდესაც საქართველოს ნაკრებმა რუსეთი დაამარცხა. ეს 2003 წლის 30 აპრილს მოხდა — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მიმდინარეობდა.

***— ყველაზე გულდასაწყვეტი მარცხი?***

— ალბათ, შინ იტალიელებთან წაგება, რომლებიც 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მიმდინარეობდა და ის დასამახსოვრებელი შეხვედრა რობერტო დონადონის გუნდის წინააღმდეგ თბილისში შედგა. უდიდესი აჟიოტაჟი იყო. 63-ე წუთამდე ანგარიში 1:1 გახლდათ, მაგრამ შემდეგ გოლები კამორანეზისგან და პეროტასგან გავუშვით და საბოლოოდ ანგარიში 1:3 დაფიქსირდა.

***— საფეხბურთო მაისურების კოლექციას არ აგროვებთ?***

— არა. მეტოქესთან არასოდეს მივსულვარ და მაისურის გაცვლა არ შემითავაზებია. თუმცა, ჩემ წინ ზიდანი რომ ყოფილიყო, მასთან მისვლა და მაისურის გაცვლა გამიხარდებოდა, რადგან ეს ადამიანი ჩემთვის ლეგენდაა. სამწუხაროა, რომ როცა საფრანგეთს ვეთამაშეთ, ის გუნდში აღარ იყო.

***— რა გატაცება გაქვთ ფეხბურთის გარდა?***

— კომპიუტერული თამაშები და მეგობრებთან ერთად თევზაობა მიყვარს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# დედამთილმა ციხეში გამომაწყვდია



**მანანა ახლა უკვე თავისუფალია, თუმცა მისი თქმით, ასეთ სიცოცხლეს უკვე ფასი აღარ აქვს. მთელი ცხოვრება იმის გამო იტანჯება, რაც არ ჩაუდენია. დედამთილმა 5 წლით ციხეში გამოამწყვდია, ციხიდან გამოსულს კი საკუთარი შვილების ნახვის უფლებას არ აძლევს.**

მანანა:

— ერთი წელია ციხიდან გამოვედი და პატიმრის სტატუსი აღარ მაქვს, მაგრამ ასეთმა ხანგრძლივმა პატიმრობამ ისეთი დაღი დაასვა ჩემს ცხოვრებას, რომ უკვე დაბერებული და გახრწნილი მოხუცივით ვარ. ჩემმა დედამთილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემს შვილებს სამუდამოდ შევძულებოდი. არც კი ვიცი, შეიძლება ჰგონიათ კიდეც, რომ დედა მკვდარი ჰყავთ.

მე და რამაზი 15 წელი ვიყავით ცოლ-ქმარი. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთისთვის ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ გვითქვამს. წესიერი ქმარი მყავდა, პატიოსანი და მშრომელი. რომ იტყვიან, ნამდვილი ოჯახის მუჭუჭი იყო. ჩემს დედამთილს მოყვანის დღიდან არ მოვწონდი. არ ვიცი რას მიწუნებდა, მაგრამ ამოჩემებული ვყავდი და ყველანაირად ცდილობდა დავემცირებინე. ჩემი ქმრის ხათრით და მისი სიყვარულით ხმას არ ვიღებდი, მინდოდა ბოლომდე გმირულად ამეტანა ეს განსაცდელი, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს საზღვარი. სანამ დედამთილთან სერიოზული კონფლიქტი დამეწყებოდა, ჩემს ქმარს ვთხოვე, მოდი საცხოვრებლად ცალკე გავიდეთ-მეთქი. ზუსტად იმ პერიოდში ჩემი მული საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა თავის ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად და ჩვენი შვილები გამუდმებით ჩხუბობდნენ. მიზეზად ეგ მოვიდე, არ მინდა ბავშვების გამო შენს დასთან ვიჩხუბო, ამიტომ მოდი, სანამ საქართველოში იქნება, გავერიდოთ და აღარც ბავშვები იჩხუბებენ და აღარც ჩვენ გვეწყინება ერთმანეთისგან რამე-მეთქი.

ის ორი წელი, როცა ცალკე ვცხოვრობდით, ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დრო იყო. არავინ გვაწუხებდა, არავინ მსაყვედურობდა და არც არავინ მამცირებდა. იმ პერიოდში ადამიანურად გავსწორდი წელში. უფრო ხალისიანი გავხდი და ჩემს ქმარ-შვილსაც თან ვყვებოდი. ჩემი მულის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ კი ისევ ჩემს დედამთილ-მამათილთან დავბრუნდით და მაშინ დაიწყო ჩვენი ჯოჯოხეთური ცხოვრება. ყველაფერს აკეთებდა ჩემი დედამთილი იმისთვის, რომ დავემცირებინე და ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინა. პატარა ბავშვივით მიმითითებდა რა უნდა გამეკეთებინა, კონკიასავით ვყავდი.

სულ მემუქრებოდა, სულ მიზეზს ეძებდა, რომ უკმაყოფილება გვქონოდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, თავისი შვილისთვის ცოლად თავისი დაქალის გოგო უნდოდა, მაგრამ რადგან რამაზიმ არჩევანი ჩემზე გააკეთა, ის ამ ფაქტმა საშინლად გააბრაზა. ამ თემაზე არასოდეს გვისაუბრია, მაგრამ ერთხულ გაბრაზებულს წამოსცდა, ჩემი შვილისთვის ნამდვილი პრინცესა მყავდა, მაგრამ მის ნაცვლად ოჯახში გომბიო შემომივიდაო.

ჩემს ქმარს არაფერს ვეუბნებოდი, არ მინდოდა დედა-შვილი ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ. ახლა ვხდები, რომ შევცდი — რამაზისთვის პირველივე წუთებიდან ყველაფერი უნდა მომეყოლა და მასაც სიმართლე ეცოდინებოდა. ბოლოს რომ ვცადე თავის მართლება, უკვე ძალა აღარ მეყო ჩემი ქმარი ჩემს სიმართლეში დამერწმუნებინა და ამიტომაც დავრჩი მისი თანადგომის მიღმა.

ერთხელ ჩვენი ოჯახიდან ძვირფასეულობა დაიკარგა. დედამთილს არაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ ეჭვი ჩემზე ჰქონდა. ამდენი წლის მანძილზე მათი სახლიდან ერთი ნაჭერიც არ დაკარგულა, ახლა კი ყველაფერი თვალსა და ხელს შუა გაქრა. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა და გულწრფელად დავიბენი. მეგონა, ჩემი აღსასრული დადგა, რადგან როგორც კი ჩემი ქმარი სამსახურში წავიდოდა, ჩემი დედამთილი სულ მემუქრებოდა, იცოდე ამას არ გაპატიებ, ვის გაუბედე შე ძაღლის ლეკვო, ჩემს ძვირფასეულობას ხელი როგორ მოკიდეო. ვიცოდი, რომ რაღაც ოქროულობა ჰქონდა, მაგრამ თვალითაც არ მქონდა ნანახი, იმიტომ, რომ ჩემთვის ერთი ბეჭედიც არ უჩუქებია. ათვალწუნებული ვყავდი და არაფერს მაძლევდა. არც მე ვიყავი ოქროულზე გაგიჟებული, ამიტომ ეს მისი გამოხტომა არც გამიპროტესტებია.

ერთ საღამოს ჩემს ქმარს შეაგვინდა. უკვე ყველა იწვა. გამობნელებულ სახლში ვიჯექი და ჩემს ქმარს ვუცდიდი. არ ვიცი ჩემს დედამთილს რა მოელანდა, მაგრამ უცებ გამოვარდა ოთახიდან და ყვირილი დამიწყო. თან უშვერი სიტყვებით მომიხსენიებდა. ბოლოს იმდენი გაბედა, ხელითაც შემეხო. თან დამყვიროდა, ჩქარა მითხარი, ჩემი ოქროულობა სად წაიღეო. ამის მოთმენა უკვე მართლა ველარ შევძელი და ერთმანეთის ცემა დავუწყეთ. ჩემი დედამთილი ვიზუალურადაც და ფიზიკურადაც ჩემზე დიდი და ძლიერი იყო, ამიტომ, რომ დამავლო ხელი, სულ თმებით მითრია. ჩემი ქმარი სახლში რომ მოვიდა, უკვე ცოცხალ-მკვდარი ვეგდე. არც ლაპარაკი შემეძლო და არც თვალების გახელა. მხოლოდ მესმოდა, ჩემი დედამთილი როგორ უყვებოდა, ეს ქალბატონი თავს დამესხა და მახრჩობდაო. იმ ღამესვე ჩემი მშობლები მოცვივდნენ და იმ სახლიდან წამომიყვანეს. საავადმყოფოში დიდხანს მომიწია ყოფნა. ვითომ გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მაინც დამრჩა. როგორც მერე გავიგე, ჩემი შვილები ჩემს მშობლებს არ გამოატანეს.

სახლში გამომწერეს თუ არა, ორ დღეში თავზე პოლიცია დაგვადგა. გამომიცხადეს, თქვენზე საჩივარია შემოსული და განყოფილებაში უნდა წამოხვიდეთო. ვიფიქრე, ალბათ ისევ ქურდობას მაბრალებს ჩემი დედამთილი-მეთქი. თურმე საჩივარი შეუტანია, თავს დამესხაო. ბევრი ვამტკიცე, რომ პირველს მე არ დამიწყია, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი მშობლების ბევრი მცდელობით და სირბილით 5 წელი მომისაჯეს. იმ კონფლიქტის შემდეგ ჩემი ქმარი თვალითაც არ მინახავს. დიდი იმედი მქონდა, რომ სასამართლოზე მაინც მოვიდოდა, მაგრამ არც იქ გამოჩენილა. მარტო ჩემი დედამთილი დადიოდა, სულ კვნესა-კვნესით შემოდიოდა და ლამის საკაცით გაეტანათ. გაოგნებული ვუსმენდი, საიდან მოიტანა ამდენი ტყუილი, საშინელებებს ლაპარაკობდა, თურმე სულ ვამცირებდი, ვცემდი და ვაშიმშილებდი. არადა, ისეთი ქალია, თავის ცხოვრებაში რომ არაფერს მოიკლებს. ჩემი სიმართლე ვერ დავამტკიცე — სასჯელი მაინც მომისაჯეს და შვილებთან მიკარებაც ამიკრძალეს. პატიმარი ქალი შვილებს როგორ გავეკარებოდი, მაგრამ ჩემს მშობლებს არაერთხელ ვთხოვე, შვილები მოეყვანათ და ჩემთვის ეჩვენებინათ, მაგრამ ეს სურვილი ვერ ამისრულეს — მითხრეს, მათი ნახვა შენ კი არა, ჩვენც კატეგორიულად გვაქვს აკრძალულიო.

ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ ვითხოვე შეწყალება, მაგრამ ჩემი მოთხოვნა არც ერთხელ არ დააკმაყოფილეს. სასჯელი ბოლომდე მოვიხადე. ციხემ საშინლად შემცვალა. ცხოვრებისადმი ულმობელი გავხდი. ყველასადმი ნდობა დავკარგე. მივხვდი, რომ ჩემმა დედამთილმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა — ჩემს ქმარსაც სამუდამოდ შეაძულა ჩემი თავი და ჩემს შვილებსაც. სიზმარში ვხედავ, რომ ჩემი შვილები ათვალწუნებით მიყურებენ და სიძულვილით მაქცევენ ზურგს. ასე ცხოვრებამ დამლალა. ძალიან მინდა ჩემმა შვილებმა სიმართლე იცოდნენ და არ ეგონოთ, რომ მათი დედა ყაჩაღი და გარეწარია.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

### hf fhbc rkbvfmcb0

საზოგადოებაში კლიმაქსი, რომელსაც მეორენაირად მენოპაუზას უწოდებენ, რატომღაც სიბერესთან ასოცირდება. ხშირად ის ქალებში შიშსაც იწვევს, რადგან მათი ახლობლები თუ თანამშრომლები კლიმაქსზე საოცრად ისტორიებს ყვებიან.

სინამდვილეში კლიმაქსი ქალის ცხოვრების გარდაუვალი მოვლენაა, რომელიც საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ასაკობრივი ცვლილებები ქალის ორგანიზმში 35 წლიდან იწყება და 50 წლამდე გრძელდება. ამ დროს საკვერცხეების ბიოლოგიური სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება, რაც ამცირებს ჰორმონების გამომუშავებას, კვერცხუჯრედის მომწიფება კი სულ უფრო იშვიათი მოვლენა ხდება. ეს ყველაფერი არარეგულარული მენსტრუაციული ციკლით ხასიათდება და საბოლოოდ საკვერცხეები ფუნქციონირებას წყვეტენ.




რა იწვევს კლიმაქსს? თავის ტვინში მდებარე განსაზღვრული ფუნქციის მქონე ცენტრები, ჰიპოფიზი და ჰიპოთალამუსი, რომლებიც ჰორმონულ პროცესებს არეგულირებენ, დაკავშირებულნი არიან თავის ტვინის სხვა უბნებთან, რომლებსაც სისხლის მიმოქცევისა და სხეულის ტემპერატურის რეგულირება აკისრიათ, ის ასევე დაკავშირებულია ლიმბურ სისტემასთან, რომელიც გრძნობათა ცენტრს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მენოპაუზით განპირობებული ჰორმონული ცვლილებები ხშირად ფსიქოვეგეტატიური დარღვევების მიზეზია.

ეს დარღვევები ყოველთვის არ იჩენს თავს. მენოპაუზის პერიოდში ქალების მხოლოდ მესამედი უჩივის შემაწუხებელ მოვლენებს, მესამედს მხოლოდ მსუბუქი დისკომფორტი აღენიშნება, ხოლო მესამედს კლიმაქსი ყოველგვარი ცვლილების გარეშე გადააქვს. ისეთი ფსიქოვეგეტატიური დარღვევები, როგორიც არის ალები, ოფლიანობა, ძილის დარღვევა, დეპრესიული მდგომარეობა, ადვილად აგზნება, შფოთვა, თავბრუხვევა, გულისცემის აჩქარება, მგრძნობელობის დარღვევა სხეულის სხვადასხვა ადგილას, ჰორმონული ცვლილებების ლოგიკურ ასახვას წარმოადგენს. მათ შესაძლოა ჯერ კიდევ მენოპაუზამდე იჩინონ თავი. ეს ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს არ უქადის და კლიმაქსური გარდაქმნების დამთავრების შემდეგ თავისთავად ქრება.

მნიშვნელოვანია ის ცვლილებები, რომლებიც ჰორმონების ხანგრძლივი დეფიციტის შედეგს წარმოადგენს, ნელა მიმდინარეობს და მენოპაუზიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვლინდება. ასეთ დარღვევათა რიცხვს მიაკუთვნებენ გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, ოსტეოპოროზს, შარდის ბუშტის პრობლემებს. ამგვარი პათოლოგიები, ფსიქოვეგეტატიური დარღვევებისგან განსხვავებით, მეტნაკლებად ყველა ქალში იჩენს თავს.

მეცნიერებმა კვლევების შედეგად ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს — იაპონელ, ჩინელ და სხვა აზიური ქვეყნების მკვიდრ ქალებს კლიმაქსის პერიოდში ნაკლებად აწუხებთ ალები, ძალიან იშვიათია მათ შორის ოსტეოპოროზიც. ამის მიზეზი მათი კვების რაციონია, რომელიც ცხიმის დაბალი შემცველობითა და მცენარეული ესტროგენებით მდიდარი სოიის პროდუქტების სიუხვით გამოირჩევა.

მენოპაუზის დროს მომხდარმა ცვლილებებმა შესაძლოა ფსიქიკური აშლილობის პროვოცირება მოახდინოს. ამ დროს აუცილებელია ფსიქიატრის ან ნევროლოგის კონსულტაცია. კლიმაქსის პერიოდში არანაკლებ საყურადღებოა ოსტეოპოროზი, რომელსაც „ჩუმ მძარცველსაც“ უწოდებენ. ამ დროს ორგანიზმში ხდება ძვლების ჩუმი განლევა. ამ დაავადების ჩამოყალიბების ალბათობას ზრდის გენეტიკური განწყობა, ნაადრევი მენოპაუზა, კალციუმის დეფიციტი, თამბაქოს წევა, ალკოჰოლის ჭარბი მიღება, კოფეინის ჭარბი მიღება, ზოგიერთი მედიკამენტის მიღება, დამწვრობა.

კლიმაქსის დროს ქალებს სხვადასხვა მედიკამენტებს უნიშნავენ, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ფსიქიკა, დააქვეითონ მხედველობა, მგრძნობელობა, დაარღვიონ ქვედა კიდურების ფუნქცია. უსაფრთხოებისთვის საჭიროა ოთახიდან მოაშოროთ საგნები, რომლებიც ადამიანს გადაადგილებაში ხელს უშლის, დააგოთ რბილი იატაკი, კიბეს გაუკეთოთ მოაჯირი, უზრუნველყოთ ადეკვატური განათება.

დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ მენოპაუზასთან დაკავშირებული მძიმე დარღვევების თავიდან აცილება სამი ძირითადი მექანიზმით არის შესაძლებელი: ჰორმონების დეფიციტის შევსება, ჯანსაღი, დაბალანსებული კვება და საკმარისი ფიზიკური აქტივობა. ჰორმონების დეფიციტის შევსების შემდეგ იზრდება ძვლების სიმკვრივე და თითქმის ნახევრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკი. ჯანსაღი და დაბალანსებული კვება კალციუმითა და ვიტამინებით მდიდარი მცენარეული საკვების მიღებას, ცხოველური ცხიმების და ცომეულის შეზღუდვას გულისხმობს. რეგულარული ფიზიკური ვარჯიში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, რაც ხელს უწყობს ძვლებში კალციუმის ცვლას და მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ფუნქციების მქონე ორგანოთა კვებას.

ქალს 50 წლის შემდეგაც შეუძლია შეინარჩუნოს მიმზიდველობა. მანდილოსნებს ამ ასაკში უფრო მეტად სცალიათ საკუთარი თავისთვის, ამიტომ მათ მეტი დრო უნდა დაუთმონ ფიზიკურ აქტივობას, რათა მოსალოდნელი საფრთხეები თავიდან აიცილონ.

**თიკო ნინიაშვილი**

### dfh] bib lfpfhfkt,ekb jhufyjt,bcsdbc

ნებისმიერი გინეკოლოგიური მანიპულაცია ქალის სუსტი ორგანიზმისთვის მეტად დიდი დატვირთვაა. არ აქვს მნიშვნელობა, ქირურგიული ჩარევა საკვერცხეებზე მოხდება თუ საშვილოსნოს ყელზე, — გინეკოლოგიური ოპერაციის შემდეგ ორგანიზმს ნებისმიერ შემთხვევაში სჭირდება მოძლიერება, ხოლო მცირე მენჯის ღრუს „დაზარალებულ“ ორგანოებს — სისხლით ადეკვატური მომარაგება. ამისთვის საუკეთესო გზა სპეციალური ვარჯიშია.



არსებობს ვარჯიშთა სპეციალური კომპლექსი, რომელთა შესრულება მარტივი გინეკოლოგიური ოპერაციიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება. თუ თქვენ მძიმე ოპერაცია გადაიტანეთ, მაშინ სასურველია რამდენიმე კვირა საერთოდ არ ივარჯიშოთ.

ყოველდღიურად ან თუნდაც 2 დღეში ერთხელ 25 წუთიანი წავარჯიშება საკმარისია, რომ მცირე მენჯის ღრუს ორგანოების სისხლმომარაგება აღდგეს, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემების ფუნქციები ნორმას დაუბრუნდეს. ყველა ვარჯიში ზურგზე წოლისას სრულდება.

მაშ ასე:

1. ფეხები ერთმანეთს მიატყუპეთ და გამართეთ. ხელები სხეულის გასწვრივ დაიწყვეთ. გაჭიმული ხელები ნელა გადაიტანეთ თავს უკან და ცხვირით ღრმად ჩაისუნთქეთ, შემდეგ ნელა დაუშვით სხეულის გასწვრივ და პირით ამოისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

2. ხელები მოხარეთ და მუშტებად შეკარით. ფეხები გაჭიმეთ, ტერფები წინ მიმართეთ. მუშტები გაშალეთ, პარალელურად ფეხები კოჭ-წვივის სახსარში მოხარეთ და ტერფები თქვენსკენ მიზიდეთ. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში 5-6-ჯერ გაიმეორეთ.

3. ფეხები გამართეთ, შემდეგ ნელა მოხარეთ მუხლის სახსარში, ისე, რომ ტერფები იატაკს არ ააცილოთ. რამდენიმე წამით ასე გაჩერდით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. ეს ვარჯიში 2-3-ჯერ გაიმეორეთ.

4. ფეხები მაქსიმალურად მოხარეთ მუხლებში, ისე, რომ ტერფები სხეულთან რაც შეიძლება ახლოს მივიდეს. ხელები ტანის გასწვრივ დაიწყვეთ და მენჯი რამდენიმე სანტიმეტრით მაღლა ასწიეთ. რამდენიმე წამს ასე გაჩერდით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. ვარჯიში ნელა გაიმეორეთ 2-3-ჯერ.

5. ხელები ბოქლომად შეკარით და თავქვეშ ამოიდეთ, იდაყვები აქეთ-იქით მიმართეთ. ფეხები გამართეთ. ხელების დახმარებით თავი და მხრები ისე წამოსწიეთ, რომ ნიკაპი გულმკერდს შეეხოს. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

6. ხელები სხეულის გასწვრივ დაიწყვეთ. ფეხები ჯერ გამართეთ, შემდეგ მარჯვენა კიდური გვერდზე გასწიეთ, კვლავ საწყის მდებარეობას დაუბრუნეთ (მიატყუპეთ მეორეს) და იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხით შეასრულეთ. ვარჯიში 3-4-ჯერ გაიმეორეთ.

არ დაგავიწყდეთ! ამ ვარჯიშების შესრულება რეკომენდებული არ არის — მაღალი ტემპერატურის, საერთო სისუსტის, მწვავე ანთებითი პროცესის, საშვილოსნოდან სისხლდენის, თრომბოფლებიტის, ანემიის, სისხლის მიმოქცევის მოშლის, გულისრევისა და ღებინების შემთხვევაში.

**თიკო ნინიაშვილი**

შედით საიტზე atb.ge

# TV პროგრამა

## ორშაბათი 19 სექტემბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 მხ.ფ."ოჯახური გეგმა" 15.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 17.30 სილამაზის ფორმულა 18.00 მედ-ინფო 19.05 დოკ.ფ."შერლოკ ჰოლმსი" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ. ფ."მაგარი ბიჭები ვარ ცეკვავენ" (18) 03.00 მოამბე 03.20 ცხოვრება მშვენიერია 04.20 საფეხბურთო მიმოხილვა

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი "ჩარეცხილი" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00, 19.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 20.00 მხ. ფილმი "ალისი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 სერ. "ზიანი" 02.00 მხ. ფილმი "დენის და ლორის დებატები"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 ჯეოსტარი 23.30 მხ. ფილმი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. "ეჰ მეგობრებო" 1-ლი ს. 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.15 მხ. ფილმი "კეთილი ჯონი" (ა. საიფრიდი) (სუბტ.) 03.25 მხ. ფილმი "სამართლიანობისთვის მებრძოლი" (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) 05.15 მხ. ფილმი "მტრის საწოლში" (12) (ჯ. რობერტსი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 16.00 გადაცემა "გუნდი" 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "კეთილშობილი თაღლითები" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სახლი ბათუმში 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.10 მხ. ფილმი "პასტორალი" 12.30 კონცერტი– ქართული მუსიკის საღამო 15.25 სპექტაკლი "დაკრძალვა კალიფორნიაში" 16.55 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.25 საუბრები შ. ნადირაშვილთან 18.15 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "ჩაკლული სული" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "ჩარლი ჩაპლინი" 22.40 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "იალაღობა აჭარაში" 00.30 განთიადის სტუმარი

## სამშაბათი 20 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 დოკ. ფილმი 11.25 რაგბი. მსოფლიო თასი. იტალია-რუსეთი 13.30 აღმოაჩინე საქართველო 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი ფერმა 18.30 დამზადებულია საქართველოში 19.05 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 მხ. ფილმი "ოჯახის სახელით" (სუბტ.) 00.05 აუდიტორია 01.05 ქართული დოკუმენტალისტიკა 02.35 მხ. ფილმი "მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ" (18) 04.35 მხ.ფ."დედიპოს ბიჭი" (18)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ.ფ."ორმაგი შეცდომა" 02.00 მხ.ფ."ანგარიშსწორება"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ჯეოსტარი 23.00 თქვენი შოუ 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ."დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 ნანუკას შოუ 01.15 მხ. ფილმი "ბრილიანტის ამბავი" (12) (ბ. ჰოვარდი) (სუბტ.) 03.20 მხ. ფილმი "ნედ კელი" (12) (ჰ. ლეჯერი) (სუბტ.) 05.15 მხ. ფ."წყალქვეშა საპყრობილე" (12) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 მხ. ფილმი 15.30 იმედის ფსონი (პირდ.) 16.20 გადაცემა "გუნდი" 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "კეთილშობილი თაღლითები" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 სახლი ბათუმში 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ჩარლი ჩაპლინი" 10.50 სალვთისმეტყველო საუბრები 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ჩაკლული სული" 13.35 კონცერტი– ანს. "შავნაბადა" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "ჩრდილი გზაზე" 16.40 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.20 დოკ. ფილმი "ცამეტი წმინდა მამის ნამოღვაწარი" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი "მალე გაზაფხული მოვა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 დოკ. ფილმი "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 01.25 კონცერტი – ნ. გელაშვილი

## ოთხშაბათი 21 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 ან. ფილმი "ჯუმანჯი" 18.00 ჩვენი სამართალი 18.30 სილამაზის ფორმულა 19.05 დოკ. ფილმი 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 ევროპული არჩევანი 23.30 ფესტივალი "ღამის სერენადები" 2011 01.20 მხ. ფ. "სიკვდილი ხელმეორედ" (15) (ე. გარსია) 03.20 მოამბე 03.40 ევროპული არჩევანი 05.10 მხ. ფილმი "ოჯახის სახელით"

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ. ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ.ფ."ორმაგი შეცდომა" 02.00 მხ. ფილმი "სერიული მკვლელი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 თბილისი ლაივი 00.30 მხ. ფილმი "კრისტი" (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) 02.25 მხ.ფ."სიკვდილის შემდეგ" (12) (ჟ. ვან დამი) (სუბტ.) 03.55 მხ. ფილმი "უკანასკნელი ლეგიონი" (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ."ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 მხ. ფილმი 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.40 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "კეთილშობილი თაღლითები" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 00.30 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.20 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "მალე გაზაფხული მოვა" 13.45 კონცერტი– თ. ჭოხონელიძე 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 მხ. ფილმი "დედუნა" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.55 კვირიაკე 18.05 დოკ. ფილმი "დედა ღვთისმშობელი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "მოიტაცეს თამარ ქალი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 01.30 კონცერტი – ანს. "შვიდკაცა"

## ხუთშაბათი 22 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 14.00 ცხოვრება მშვენიერია 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 სი ბემოლი 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "ელიზაბეტთაუნი" (12) 03.10 მოამბე 03.30 არენა 04.30 მხ. ფილმი "სიკვდილი ხელმეორედ" (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 15.30 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 16.15 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ. ფილმი "რეიგანების ოჯახი" 02.00 მხ. ფილმი "სასიყვარულო წერილი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 პროფილი 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბოიარის ციხესიმაგრე 15.00 წუთისოფელში 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ."დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 მუს. ლიგა (გან.) 01.20 რემონტი 01.50 მხ. ფილმი "წერილები ჯულიეტასთვის" (ა. საიფრიდი) (სუბტ.) 03.55 მხ. ფილმი "ღვთის გამოგზავნილი" (15) (გ. კინეარი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 მხ. ფილმი 15.30 პულსი 16.20 გუნდი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.00 სერ. "კეთილშობილი თაღლითები" 12.50, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დოკ. ფილმი "შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა" 10.40 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "მოიტაცეს თამარ ქალი" 13.30 კონცერტი – ანა ყიფიანი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.15 მოკლ. ფილმი "მათთვის, ვინც მამამ მიატოვა" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.15 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "ტარიელ გოლუა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 გამოყენებითი ხელოვნება 22.20 დოკ. ფილმი "მარბენალი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის გაგრძელება 00.55 განთიადის სტუმარი 01.00 კონცერტი – ტონი ბენეტი 02.10 ნიამორი

## პარასკევი 23 სექტემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 19.00, 20.00 მოამბე 12.25 რაგბი. მსოფლიო თასი: ავსტრალია - აშშ 14.30 ვაშინგტონი დღეს 15.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 21.00 სერ. "არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 წითელი ზონა 00.00 მხ.ფ."ჩარულოტა" (სუბტ.) 02.15 მოამბე 02.35 ქართული დოკუმენტალისტიკა 03.35 მხ. ფილმი "ელიზაბეტთაუნი" (12) (სუბტ.) 05.45 მხ. ფ. "ენი ჰოლი" (12)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) 09.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 09.30 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 14.00 საუკუნის პორტრეტები 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00, 01.00 სერ. "ზიანი" 20.00 მხ.ფ."რეიგანების ოჯახი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 02.00 მხ. ფილმი "უკანასკნელი სამურაი"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "ცოდვილი" 11.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 17.00 სერ. "ავრორა" 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 ჯეოსტარი (გან.) 00.00 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 უცნობი საქართველო 15.10 ბოიარის ციხესიმაგრე 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 კონცერტი 01.20 ფლეიბოი იმედზე 02.15 მხ. ფილმი "დინების წინააღმდეგ" (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) 04.05 მხ. ფილმი "თაფლობის თვე" (ს. მილერი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 10.00 სერ."ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 მხ. ფილმი 15.30 დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" 16.00 გუნდი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "სოფია, ცოტა მადროვე" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50 სერ. "კეთილშობილი თაღლითები" 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 19.35 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.15 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 სერ. "მონტალბანო" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.40 დოკ. ფილმი "მარბენალი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "ტარიელ გოლუა" 13.30 კონცერტი – ანს. "მამული" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 მხ. ფილმი "ცისკარა" 16.35 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "გალმამხარელნი" 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 100 ქართული ხალხური სიმღერა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი "დილის ნისლივით" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 ჩვენი ფონდი 22.35 მოკლ. ფილმი "ადგილის დედა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ობოლი სული" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე 01.55 კონცერტი – ანს. "შინ"

## შაბათი 24 სექტემბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი ბუბუ 09.55 რაგბი. მსოფლიო თასი: ინგლისი-რუმინეთი 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.25 რაგბი. მსოფლიო თასი: ახ. ზელანდია -საფრანგეთი 14.20 მხ. ფილმი "სხვა ქალი" 16.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 17.00 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 22.00 კავკასუს ლაივი 23.00 მხ.ფ."მთვლემარე სიცარიელე" (18) (ჯ. დეპი) (სუბტ.) 00.50 მოამბე 01.10 წითელი ზონა 02.10 მხ.ფ."ჩარულოტა" (სუბტ.) 04.25 მხ. ფილმი "ბროდვეი დენი როუზი" 05.55 მხ. ფილმი "ისტვიკელი ალქაჯები"

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.30 ჩანტლაძის ნოველები 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი "ენი ჰოლი" 22.30 კონცერტი– ანდრია ბოჩელი 23.40 წითელი ზონა 00.40 მხ. ფილმი "ჩარულოტა"

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი "გამყინვარების პერიოდი 2" 10.00 გუნდი 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 სასაცილო ვიდეოები 13.00 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 23.00 ჯეოსტარი 00.00 შუადღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.30 მხ. ფილმი "მიუზიკლი, სიყვარული, სპორტი" 09.00 ქრონიკა 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" მე-11ს. 11.45 სერ. "იასონი და არგონავტები" მე-3ს. 12.35 სერ."სიყვარულის ზღვა" 14.30 რემონტი 15.00 ბათუმი ლაივი 16.00 სერ. "მეტოქეები" 17.40 სერ. "სიყვარულის ზღვა" 18.40 სერ. "როცა სიყვარული მოდის" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 01.15 ფლეიბოი იმედზე 01.45 მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" (15) (ჯ. ლოუ) (სუბტ.) 03.55 სერ."საიდუმლო აგენტი" 04.35 მხ. ფილმი "ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ."ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 11.30 პულსი 12.00 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "მონტალბანო" 13.15 სერ. "დაშნების დედოფალი" 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ობოლი სული" 10.50 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "დილის ნისლივით" 13.20 პერსპექტივა 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.20 ოპერა "ტრავიატა" 17.25 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან "ძველი აფიშა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფილმი "რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 თბილისის ტაძრები 22.30 "შარავანდედი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკლ. ფილმი "წითელი ბუშტი" 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 დოკ. ფილმი "სცენის ოსტატები"

## კვირა 25 სექტემბერი

08.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 08.55 რაგბი. მსოფლიო თასი: ირლანდია-რუმინეთი 10.45 დოკ. ფილმი 11.25 რაგბი. მსოფლიო თასი: არგენტინა-შოტლანდია 13.30 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 14.45 ჩვენი ფერმა 15.10 სი ბემოლი 16.00, 20.00 მოამბე 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 17.55 ფეხბურთი. ზესტაფონი-ოლიმპი 20.00 კონცერტი – ქართული ცეკვის ზეობა 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 "კავკასუს ლაივი" 00.30 მხ.ფ."ოცნების გოგონები" (ბ. ნოულზი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფ. "მთვლემარე სიცარიელე" (18) (ჯ. დეპი) 05.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 დოკ. ფილმი 10.30 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი 13.15 თავისუფალი ტრიბუნა 18.15 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 22.30 კონცერტი: ჯ. კახიძის საიუბილეო კონცერტი 00.10 მხ. ფილმი "ტომი ბიჭი"

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 ან. ფილმი "ფრთოსანი სპეცრაზმი" 10.00 გუნდი 11.00 საბავშვო ამბები 11.30 ან.ფ."მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.20 სერ. "სიამაყე" 16.30 კონცერტი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ყველაზე ჭკვიანი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 23.30 კონცერტი 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.20 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.30 მხ. ფილმი "სიყვარული ყველას უნდა" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ან. ფილმი "101 დალმატინელი" მე-11ს. 11.45 სერ. "იასონი და არგონავტები" 12.35 სერ. "სიყვარულის ზღვა" 14.30 სერ. "სოფიას სახლი" 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.40 სერ. "ღმერთო რისი გულისთვის" 1-ლი ს. 19.05 იუმორინა 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 მაგთის გათამაშება 22.10 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სერ. "გოგონა გარეუბნიდან" 23.50 ღამის შოუ 01.00 მხ. ფ. "საქმიანი ქალი" (12) (მ. გრიფიტი) (სუბტ.) 03.15 სერ. "საიდუმლო აგენტი" 03.55 მხ. ფილმი "სახის გარეშე" (15) (ჯ. ტრავოლტა) (სუბტ.)

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "ჩემი შეყვარებული" 11.00 ანიმაცია "არგაი" 11.30 პულსი 12.00 სერ."დაკარგული ქვეყანა" 13.00 "იმედის ფსონი" პირდ. 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი "სიმონა" 20.00 სერ. "ელიზა 2" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00, 23.00 სერ. "სოფია ცოტა მადროვე" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.40, 21.00 სერ. "მონტალბანო" 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. "განებივრებული ლამაზმანი" 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ."დაშნების დედოფალი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

თბილისის ტაძრები 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.25 დოკ. ფილმი "სცენის ოსტატები" 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 13.30 ქართ. მულტფილმები 14.05 შარავანდედი 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 კონცერტი – პლ. დომინგო და პატრისია კაასი 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი "ფესვები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 დოკ. ფილმი "გიორგი ჭყონდიდელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 განთიადის კოლაჟი 01.30 ოპერა "ტრავიატა"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## საფრანგეთისა და ბრიტანეთის ლიდერები ლიბიას ეწვივნენ

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი და საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ლიბიაში ქვეყნის ახალ ხელისუფლებთან მოლაპარაკების მიზნით ჩავიდნენ.

მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ ეს ასეთი მაღალი რანგის სტუმრების პირველი ვიზიტია.

ლიბიის ეროვნული გარდამავალი საბჭოს ხელმძღვანელმა მუსტაფა აბდელ ჯალილმა მაღალი რანგის სტუმრებს სრული უსაფრთხოება აღუთქვა.



გარდა ამისა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს პოლკოვნიკ კადაფის ერთგული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ეს დახმარება რაიმე პოლიტიკურ ინტერესებზე დაყრდნობილი არ ყოფილა.

მისი თქმით, საფრანგეთი და ბრიტანეთი ლიბიას კადაფის მომხრეების შესაძლო თავდასხმებისაგან სამხრეთ საზღვრების დაცვას დაჰპირდნენ

ტრიპოლიში გამართული პრესკონფერენციის დროს კემერონმა განაცხადა, რომ ძველი ხელისუფლების დამხობიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში ახალმა ხელისუფლებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ ლიბიელებს მოუწოდა, ყოფილი რეჟიმის მომხრეებზე შურისძიებისაგან თავი შეეკავებინათ, გარდა ამისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობას მოუწოდა, ყველაფერი ილონონ, რათა საზღვარგარეთ გაქცეული კადაფის მომხრეები მართლმსაჯულების წინაშე წარდგნენ.

ოთხშაბათს ჯალილმა დასავლეთის ქვეყნებს ქვეყნის ოთხ ქალაქში გამაგრებული კადაფის მომხრეების წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღი სთხოვა.

მისი თქმით, კადაფის ერთგული ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა და ისინი ახალი რეჟიმისათვის სერიოზული საფრთხის წყაროს წარმოადგენენ.

კადაფის მომხრეები აკონტროლებენ ოთხ ქალაქს, მათ შორის სანაპიროზე მდებარე ისრტს, ქალაქ ბენი ვალიდის ჩრდილოეთ ნაწილს და ქალაქებს ჯუფრასა და საბჰას.

მუსტაფა ჯალილის თქმით, ქალაქ საბჰას რაიონში, უდაბნოში მოწინააღმდეგის შედარებით მსხვილი ჯარებია თავმოყრილი.

ჯალილის თქმით, კადაფიმ და მისმა მომხრეებმა ხაზინიდან ოქრო გაიტაცეს და მას ნავთობობიექტებზე, ქალაქებსა და ელექტროსადგურებზე თავდასხმების ორგანიზებისათვის გამოიყენებენ.

აბდელ ჯალილის თქმით, მანამდე, სანამ კადაფის მომხრე ძალების წინააღმდეგობა მთლიანად არ იქნება ჩახშობილი, ახალი ადმინისტრაციის ნაწილი ბენგაზიში დარჩება.

## უნგრული საწარმო 470 მილიონ ევრო ჯარიმას გადაიხდის



უნგრეთის თიხამიწების საწარმო, სადაც გასულ წელს მსხვილი ავარია მოხდა ტოქსიკური ნარჩენების გაჟონვის თანხლებით, 472 მილიონ ევრო ჯარიმას გადაიხდის.

4 ოქტომბერს მომხდარი ტექნოლოგიური კატასტროფის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, 150-მა სხვადასხვა სიმძიმის ქიმიური დამწვრობა მიიღო. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა გარემოს.

ალუმინის წარმოების ნარჩენებმა, რომლებიც ტუტესა და მძიმე ლითონებს შეიცავდა, 40 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობზე დაიღვარა, რამდენიმე დასახლებული პუნქტი და სახნავ-სათესი სავარგულები დაფარა.

უნგრეთის ხელისუფლების განცხადებით, ქვეყნის ისტორიაში მსგავსი მასშტაბების ინციდენტი არ მომხდარა. თავად ქარხანამ მომხდარიდან ორი კვირის შემდეგ მუშაობა განაახლა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ქვეყნის მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ჯარიმის ოდენობა საწარმოს რეზერვუარიდან დაღვრილი მომწამლავი ნივთიერებების უპრეცედენტო მოცულობას ასახავს.

სპეციალისტების შეფასებით, სათავსოდან 700 ათასი კუბური მეტრი მომწამლავი ნარჩენები გადმოიღვარა.

როგორც უნგრეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერნეტ-საიტზე განთავსებული განცხადება იუწყება, იმ ზიანისათვის, რომელიც გარემოს მიადგა, საწარმო „მალ ზიერთიმ“ უნდა გადაიხადოს ჯარიმა, რომელიც 135 მილიარდ ფორინტს აღემატება.

კომპანიას ჯარიმის გადასახდელად ან აპელაციის წარსადგენად ორი კვირის ვადა აქვს.

## ჰოლანდიის მთავრობა კუნძულ იავაზე მასობრივ მკვლელობებში დამნაშავედ ცნეს

ჰოლანდიის სასამართლოს დადგენილებით, 1947 წელს ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარების მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობის პასუხისმგებლობა ქვეყნის მთავრობას ეკისრება.

იმ მომენტისათვის ინდონეზია ჰოლანდიის კოლონია იყო და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა.

ჰააგის სასამართლომ, გარდა ამისა, დაადგინა, რომ ქვეყნის მთავრობამ მასობრივი დახვრეტების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

როგორც სასამართლო დოკუმენტები მოწმობს, რეპრესიების შედეგად თითქმის სრულიად განადგურდა ჯაკარტის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთი სოფლის მამრობითი სქესის მოსახლეობა.

ჰააგიდან გავრცელებული ინფორმაციით, ჰოლანდიელი სამხედროებიდან ამ მკვლელობებისათვის სასამართლოს წინაშე არავინ წარმდგარა.

ჰოლანდიის ხელისუფლები აღიარებენ, რომ სოფელ რავაგედაჰში 150 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, დაზარალებულთა ახლობლების თქმით, ოპერაციის შედეგად 400-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

მოსამართლე დაფნე შრედერის თქმით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ჰოლანდიის მთავრობა არასწორად მოქმედებდა და კომპენსაცია უნდა გადაიხადოს.

მან ასევე განაცხადა, რომ მთავრობის მიერ წამოყენებული არგუმენტი ხანდაზმულობის ვადის შესახებ ამ საქმის შემთხვევაში მიუღებელია.

მიმომხილველების თქმით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაღუპულთა ახლობლები, მათ შორის არიან შვიდი ქვრივი, ქალიშვილი და ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი, სამხედრო დანაშაულის ჩადენის აღიარებისა და კომპენსაციის მიღებისათვის იბრძოდნენ.

წარსულში ჰოლანდიის მთავრობამ არაერთხელ გამოხატა სინანული 1947 წელს ჰოლანდიაში ჩადენილ მასობრივ მკვლელობებთან დაკავშირებით.

უახლოეს მომავალში უნდა გაიმართოს ცალკე განხილვა, სადაც კომპენსაციის ოდენობა უნდა განისაზღვროს.

## ინდოელ მოსწავლეებს უფასო ნოუთბუქებს დაურიგებენ

ინდოეთის ტამილნადის შტატის ხელისუფლები სკოლის მოსწავლეებისათვის უფასო პორტატული კომპიუტერების დარიგებას აპირებენ.

სულ დაგეგმილია 6.8 მილიონი ნოუთბუქის დარიგება.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უფასო კომპიუტერი უნდა გადაეცეს სახელმწიფო სკოლების ან კოლეჯების ყველა უფროსკლასელს. პროგრამა ხუთ წელზეა გათვლილი და ინდოეთში ამ სახის პირველ ინიციატივას წარმოადგენს. ნოუთბუქების დარიგება შტატის ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჩამორიგებული გულუხვი დაპირებების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.

პროგრამის მომხრეები აცხადებენ, რომ იგი დაეხმარება ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებს, რომელთა მშობლებსაც კომპიუტერის ყიდვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

გარდა ამისა, ეს პროგრამა ტამილნადის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს შტატი ინდოეთის სხვა სამხრეთ შტატებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის წოდებას ედავება და დაინტერესებულია, რომ ახალგაზრდა კადრები კომპიუტერულ მეცნიერებებში კარგად იყვნენ გათვითცნობიერებული.

ამ სქემას ოპონენტებიც გაუჩნდა. მათ მიაჩნიათ, რომ პროგრამის ღირებულება, რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი, ძალიან დიდია და უმჯობესი იქნებოდა, თუკი ეს ფული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სოციალური სამსახურების განვითარებას მოჰყვებოდა.

გარდა ამისა, ტამილნადის შტატში ხშირია ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები თავიანთი კომპიუტერებით ვერ ისარგებლებენ ისე ხშირად, როგორც ეს ხელისუფლებისათვის იქნებოდა სასურველი. გარდა ნოუთბუქებისა, შტატის ხელისუფლები სხვა დაპირებულ ნივთებს, მაგალითად, სამზარეულოს მიქსერებსა და ყავის საფქვავებსაც არიგებენ. სახელმწიფო სუბსიდიების პროგრამის მოქმედების ფარგლებში მოხვედრილი ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები ასევე უფასოდ მიიღებენ შინაურ პირუტყვს, მათ შორის, თხებსა და ცხვრებს.



**მოამზადა გენადი თვაურმა**



## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.



## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონარქის ტიტული სპარსეთში; 2. ქვის ბოძებზე დადგმული ხის სახლი დასავლეთ საქართველოში; 3. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 4. ცხარე საწებელა; 5. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 8. ჭკუა, გონება; 9. ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 10. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 12. ძველი გერმანული იმპერია; 13. მემკვიდრეობითი ტიტული დასავლეთ ევროპაში; 15. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

**თარაზულად:** 1. ქართული ხალხური საგმირო სიმღერა; 6. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 7. იაპონური მსუბუქი ავტომობილი; 10. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 11. კუთხე საქართველოში; 13. პოპულარული ჰოლანდიური ყველი; 14. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 16. ორნახშირმჟავა ნატრიუმის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 17. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 18. იტალიელი მოდელიორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯამეა; 2. იზა; 3. მალევიჩი; 4. დო; 5. ვირშები; 6. საბა; 7. ბიზნესი; 10. ზღვა; 11. ჯარაექიმი; 12. გაგრიფში; 13. რელე; 16. ბონსაი; 18. დრენაჟი; 19. ისინდი; 21. ძეწნა; 24. ციკლი.

**თარაზულად:** 1. ჯანაოზი; 3. მოსადი; 8. დინარი; 9. მუზა; 14. კვირა; 15. პერონი; 17. გირი; 20. ჩხეიძე; 22. ნარდი; 23. სპიტცი; 25. შჩი; 26. სეტი; 27. არსი; 28. კრიმინალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მუზა; 2. ერა; 3. კორონაცია; 4. ბერნი; 5. თარხანი; 8. ბალი; 9. გალუაზი; 10. კაბინეტი; 12. სხალთა; 13. ტვიში; 15. ცეისი.

**თარაზულად:** 1. მაღრაძე; 6. მოწამეთა; 7. ზუბრი; 10. კლოდი; 11. ალუჩა; 13. ტრული; 14. მოცვი; 16. ლაპი; 17. არქტიკა; 18. ბეტისი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**17 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,641

ევრო — 2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11

## ამინდის პროგნოზი 17 სექტემბრისთვის







## „მე ჩემი ქვეყნით ვამაყობ!"



ლიტვაში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა დიდი სიპათია მოიპოვა. იქ მყოფი ჟურნალისტები კი შანსს არ უშვებდნენ, მათთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ქართველ კალათბურთელებს გასაუბრებოდნენ. ასე მოხდა ჩვენი ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიასთან მიმართებით.

— ***როგორ შეაფასებთ საქართველოს ნაკრების ლიტვაში ნაჩვენებ შედეგს?***

— ჩვენთვის უდიდესი მიღწევა იყო ევრობასკეტზე თამაში. ჩვენ ამ დონის ტურნირში პირველად ვმონაწილეობდით და მეორე რაუნდში გავალწიეთ — ამით ახალი ისტორია დავწერეთ. ეს ჩვენი გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის და მთელი ქვეყნისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. რომ არა ტრავმები, შესაძლოა კიდევ წინაც წავსულიყავით... ასეა თუ ისე, მე ჩემი ქვეყნით ვამაყობ!

— ***ტრავმამ შენი გუნდის ქომაგად გაქცია.***

— ეს საშინელებაა. განსაკუთრებით ცუდი ისაა, რომ ეს მოხდა მაშინ, როცა გუნდს ყველაზე მეტად ვჭირდებოდი. ვერაფერს შევცვლით — ტრავმაც თამაშის ნაწილია. კუნთი მაქვს გაწყვეტილი და მოცდა მომიწევს, თუმცა, იმედი მაქვს, მალე გამოვკეთდები. ეჰ, მე და ცინცაძეს ტრავმები რომ არ მიგვეღო, ვფიქრობ, თამამად შეგვეძლო პლეი ოფში გასასვლელად ბრძოლა.

— ***მეორე რაუნდი — საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებაა?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ პირველი ნაკრები ვართ საქართველოში, რომელმაც სპორტის გუნდურ სახეობაში ევროპის ჩემპიონატზე გააღწია. ამიტომ ვფიქრობ, საქართველოში კალათბურთი ამიერიდან კიდევ უფრო პოპულარული გახდება.

— ***როგორ ხედავთ დღევანდელი თქვენი გუნდის მომავალს?***

— ჩვენი ორი, ძალიან კარგი ახალგაზრდა მოთამაშე — შერმადინი და შენგელია გვყავს. მთლიანობაშიც, გუნდის საშუალო ასაკი არცთუ დიდია. ასე რომ, დიდი მომავალი გვაქვს. ძალიან გამიკვირდება, თუკი შენგელია ნბა-ში არ ითამაშებს — მას ხომ ამისთვის ყველაფერი აქვს. ყოველ ზაფხულს, როდესაც ის გუნდის შეკრებაზე მოდის, ვამჩნევ, რომ მისი თამაში სულ უფრო იხვეწება.

— ***ლოკაუტის პერიოდში ევროპული წინადადებების განხილვას აპირებთ?***

— არ ვიცი, ამაზე ჯერ არც კი მიფიქრია. აქამდე ყველა ჩემი ფიქრი ნაკრებს ეხებოდა. ევროპიდან შემოთავაზებები არის, მაგრამ ჯერ კიდევ მაქვს იმედი, რომ ნბა-ს სეზონი შედგება. თუმცა, ნამდვილად არ ვიცი, რა სტადიაზეა ამ წუთში მოლაპარაკებები. იცით, ძალიან უცნაური იქნება, თუკი სეზონი ჩავარდება. ამ წლების განმავლობაში ერთ რამეს ისე მივეჩვიე, სხვანაირად ვერ წარმომიდგენია — 1 ოქტომბერს საწვრთნელი ბანაკი დგება. იმედი მაქვს, წელს ლიგაში გარჯის საშუალება გვექნება და გულშემატკივრებსაც მიეცემათ ამ ბრწყინვალე თამაშის ხილვის ბედნიერება.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 17 სექტემბერი — შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ქალწული** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **სასწორი** — დღეს მშვიდად იმოქმედეთ, შეცდომა დაუშვებელია. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ახალ პროექტში მონაწილეობა ნამდვილად ღირს, თქვენ გაგიმართლათ.

### 18 სექტემბერი — არ აჩქარდეთ

**ვერძი** — ეს დღე დაგეგმეთ და ისე იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ლომი** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — მშვიდად იყავით, საღამო კარგად დაგვირგვინდება. **მშვილდოსანი** — ნუ შეეცდებით საქმის გარკვევას, მაინც არაფერი გამოვა. **თხის რქა** — ჰარმონიული დღეა, დაჯილდოვდებით. **მერწყული** — დაწინაურება და სხვა სიახლეც გელით. **თევზები** — მშვიდად იმოქმედეთ, არავინ მოგსდევთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი



ბნელ შესახვევში ორი ტიპი შეხვდა ერთმანეთს.

— ფული გაქვს? — ეკითხება ერთი მეორეს და ჯიბიდან დანას იღებს.

— რად გინდა? — პასუხობს მეორე და ჯიბიდან პისტოლეტს იღებს.

— გადახურდავება მინდა, — ამბობს პირველი და ჯიბიდან ასლარიანს იღებს.

* * *

— ექიმო, თქვენთან სინდისის ამპუტაციის ოპერაციას აკეთებენ?

— დიახ, მაგრამ ფული წინასწარ უნდა გადაიხადოთ...

* * *

— მითხარით, როგორ მიხვდით, რომ თქვენთან ბინაში ვიღაც უცხო იმყოფებოდა?

— იცით, ჩვენთან ოჯახში უკნიდან თავში ტაბურეტის ჩარტყმა მიღებული არ არის...

* * *

— შენ რამდენი მანქანა გყავს?

— ორი, თუმცა, ორივე დედაჩემისაა, ერთი სარეცხი, მეორე საკერავი...

## როგორ აღწევენ ქალები მიზანს ტესტი



*1. როგორ მოექცევით დაქალს, რომელიც სულ იგვიანებს?*

ა. თუ კიდევ დაიგვიანებს, არ დაელოდებით. ბ. შეხვედრას ერთი საათით ადრე დაუნიშნავთ. გ. გამოუცხადებთ, რომ აღარ შეხვდებით. დ. კარგად გამოთათხავთ. ე. არც თქვენ ხართ პუნქტუალური.

*2. არ მოგწონთ წვერგაუპარსავი მამაკაცი. როგორ აიძულებთ გაპარსვას?*

ა. აკოცებთ, როდესაც გაპარსულია. ბ. ბალიშის ქვეშ პირსაპარსს ამოუდებთ. გ. ხშირ-ხშირად გაპარსვას სთხოვთ. დ. გამოუცხადებთ, რომ ჯაგარი არ მოგწონთ. ე. წვერგაუპარსავი თუ შეგეხებათ, იკივლებთ.

*3. ვაკანტურ თანამდებობაზე თქვენი დაქალიც აცხადებს პრეტენზიას:*

ა. ფარულად მიიღებთ აქტიურ ზომებს მიზნის მისაღწევად. ბ. აუხსნით, რით არის თქვენთვის ეს სამუშაო მნიშვნელოვანი. გ. ჰკითხავთ, ხომ არ გამოვიდოდა თამაშიდან. დ. წაეჩხუბებით. ე. იფიქრებთ, ხომ არ დაანებოთ თავი ყველაფერს.

*4. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ: „რაც გინდა, ის ჰქენი"?*

ა. „მე ყველაფერი მიხდება". ბ. „ინანებ." გ. „როგორც შენ გინდა, მაინც ისე გააკეთებ". დ. „მე ისე მოვიქცევი, როგორც მინდა". ე. „შენთვის სულ ერთია, მე რას ვგრძნობ".

*5. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, „მე ეს ძალიან მსიამოვნებს"?*

ა. „გააგრძელე". ბ. „ცოტა უფრო ხშირადაც შეგეძლო გაგეკეთებინა". გ. „მომწონს, როდესაც ასე მეფერები". დ. „მე ამას ვერ ვიტან". ე. „სად ისწავლე"!

*6. რას გულისხმობთ, როდესაც ამბობთ, „ალბათ, საშინლად გამოვიყურები"?*

ა. „თქვი, რომ ეს ასე არ არის". ბ. „ვერ გამოვიძინე". გ. „შენც ასე ფიქრობ". დ. „დღეს თმა საშინლად მაქვს". ე. „ყველაფერი შენი ბრალია".

*7. სტუმრად ყოფნისას თქვენი პარტნიორი მამაკაცი ნახევარი საათი ვიღაც ქალს ეკურკურებოდა. შინისაკენ მიმავალი თქვენ:*

ა. თქვენი „მაგარი" ნაცნობის შესახებ მოუყვებით. ბ. ხუმრობით საყვედურს ეუბნებით. გ. შეკითხვებს უსვამთ, რათა გამოარკვიოთ, რა მოეწონა იმ ქალში. დ. ჯანდაბაში გაგზავნით. ე. მრავალმნიშვნელოვნად დუმხართ.

### პასუხები

***პასუხები შეაფასეთ ა. 1 ქულა. ბ. 2 ქულა. გ. 3 ქულა. დ. 4 ქულა. ე. 5 ქულა.***

*7-12 ქულა:* ყოველნაირად ცდილობთ, სხვები აიძულოთ, ისე მოიქცნენ, როგორც თქვენ გსურთ, მაგრამ ამაოდ შვრებით, თქვენს მიზნებს მაინც ყველა ხვდება.

*12-17 ქულა:* ძალაუფლების სიყვარულით სხვას არ ჩამოუვარდებით, მაგრამ მალავთ თქვენს მიზნებს, თუმცა არ ფიქრობთ, რომ ადამიანი ადამიანისთვის მგელია.

*18-23 ქულა:* თქვენთვის დამახასიათებელია გულახდილობა და გულწრფელობა. ყოველთვის სწორ გზას არჩევთ მიზნის მისაღწევად, ცდილობთ სხვების ინტერესების გათვალისწინებასაც.

*24-29 ქულა:* მიზნის მისაღწევად პირდაპირ და გაბედულად მოქმედებთ. დარწმუნებული ხართ, რომ ყველაფრის უფლება გაქვთ და ყველა უნდა დაგემორჩილოთ.

*30-35 ქულა:* ყველაზე უკეთ ახერხებთ ადამიანებით მანიპულირებას, რადგან იარაღად ემოციური შანტაჟი აირჩიეთ. აშკარად არ მიდიხართ კონფლიქტზე, მაგრამ ფარულად შეგიძლიათ, სხვებს ხასიათი გაუფუჭოთ.

გ. თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. ქუთაისური ლუდი; 3. მეზარბაზნის, რიგითი არტილერისტის ძველებური სახელწოდება; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართული მინიატურების თეატრის ფუძემდებელი, პაროდისტი მსახიობი მამაკაცი; 6. პოპულარული საესტრადო მუსიკალური ნაწარმოები; 7. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის ძველებური სახელწოდება; 13. პურეული მცენარე; 16. რაიმეს დიდი სურვილი, ნდომა, ოცნება; 18. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 19. უსაფუვროდ გამომცხვარი პური; 21. მრავალშრიანი ფანერა; 24. ქიმიური ელემენტი, ლითონი.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. სათამაშო სახლი; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 14. სასწავლო დაწესებულება; 15. ახლად ამოსული პურის ყანა; 17. საკანონმდებლო ორგანოში შეტანილი კანონპროექტის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. დედამიწის მანათობელი; 26. მამალი თხა; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. უმაღლესი სასწავლებელი.



**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**